# „ბრბო ანიშნებს ჯალათს ჩემზე: „ჯვარს აცვ ეგე! ჯვარს აცვ ეგე! მე კი სვეტიცხოველი და გელათი მაქვს ასაგები!“

ზაურ ბოლქვაძე.

**პრეზიდენტი**



## „თურქეთის სამხედრო დარგის სპეციალისტებს ძალზე გვაინტერესებს მსოფლიოში აღიარებული, გამოცდილი პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის რჩევები და მოსაზრებანი რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე“

– მიმართა საქართველოს პრეზიდენტს 18 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ჰილმი ოზქიოქმა, რომელიც ხელმძღვანელობს ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად ჩამოსულ თურქეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელთა მაღალი დონის დელეგაციას.

გენერალმა აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ნაყოფიერად ვითარდება პოლიტიკისა თუ ეკონომიკის სფეროებში: „მაგრამ, მე, როგორც სამხედრო სფეროს წარმომადგენელი, განსაკუთრებით აღვნიშნავ იმ დიდ წარმატებას, რომელსაც ამ დარგში მივაღწიეთ.“

იხ. მე-2 გვ.

**დერეფანი**

## მარტვილის „დიდი აბრეშუმის გზა“

ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, სად მარტვილი და სად რკინიგზა-მეთქი. მაგრამ ეს „მკრეხელური“ აზრი უმალვე უკუვაგდე: „დიდი აბრეშუმის გზა“ ხომ სრულიად საქართველოს ეკუთვნის, ყველაზე მიკარგულ, უპატარავეს სოფლებსაც კი! მარტვილი კი თავისი ისტორიული წარსულით და დღევანდელობით ერთ-ერთი საჩინო და ღირსეული კუთხეა. რაიონში იმ დღის ყველაზე საპატიო სტუმარმა, ახალი სახალხო მოძრაობის ლიდერმა აკაკი ჩხაიძემაც ერთგვარი სიურპრიზი მოგვიმზადა – „საქართველოს რკინიგზის“ უშუალო ხელშეწყობით შენდება ელექტროგადამცემი ხაზი და რაღაც ერთ კვირაში მარტვილელები ასე ნანატრ ელექტროენერგიას მიიღებენ, გაჩახჩახდება ზოგჯერ თვეობით ჩაბნელებული ქალაქი და სოფლები.

იხ. მე-2 გვ.




„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ [ხელმოწერა]

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.


შპს „საქართველოს რკინიგზა“ The Georgian Railway Ltd

# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №102 (4481) შაბათი, 19 აპრილი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.


**პროკურატურა**

## ურჩი გადამხდელები... სასაფლაოდან

როგორც ჩანს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ხელები საბოლოოდ დაიკაპიწა ურჩ გადამხდელთა მოსათვინიერებლადაც და კონტრაბანდისტთა ფარული არხების გადასაკეტადაც. 17 აპრილს გამართული კოლეგიის საგანგებო სხდომამ, რომელსაც ბატონი ნუგზარ გაბრიჩიძე უძღვებოდა, სრულ „საბრძოლო ვითარებაში“ ჩაიარა. ცენტრალური აპარატის, საოლქო თუ რაიონული რგოლების ხელმძღვანელებს ამიერიდან, ალბათ, დღე და ღამის გასწორება მოუწევთ, რათა სპეციალური დავალებები შეასრულონ, კერძოდ, საბიუჯეტო თანხები ამოიღონ და ჩვენი ხაზინა ერთხელ და სამუდამოდ სეკვესტრებისგან დაიცვან. რეზერვები? ეტყობა, რეზერვები არის. ისეთი ფაქტები დაასახელეს, ამაში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება.

იხ. მე-3 გვ.

**დღის თემა**

## საქართველოს წყობიდან გამოყვანა რუსეთის სათათბირომ ამჯერად ვერ მოახერხა...

თავდაცვის სფეროში საქართველოსა და ამერიკის მთავრობების თანამშრომლობამ რუსეთის სათათბიროს მოსვენება დაუკარგა. ვერა და ვერ ეგუება რუსეთის პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი საქართველოსა და ამერიკის პარტნიორობას. ჩრდილოელი მეზობელი სახელმწიფოს გარკვეულმა პოლიტიკურმა ნაწილმა საქართველოს სახით კავკასიაში „მტრის ხატის“ შექმნა განიზრახა და პირველი ნაბიჯიც გადადგა – რუსეთის სათათბირომ საპროტესტო განცხადება მიიღო... განცხადება, რომელშიც არგუმენტს მოკლებული ბრალდებებია წამოყენებული და უსაფუძვლო საყვედურების კორიანტელია... მაგრამ, საოცრება! რუსეთის პოლიტიკური წრეების ამ ძალებმა ოფიციალური თბილისისაგან, მათთვის სამწუხაროდ და ჩვენდა საბედნიეროდ, ვერ მიიღეს იმგვარი რეაქცია, როგორსაც მოელოდნენ... ამჯერად საქართველოს წყობიდან გამოყვანა არც ისე იოლი გახდა მათთვის... თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს გაავრცელა საპასუხო განცხადება, რომელშიც საკმაოდ მყარი არგუმენტებით დაასაბუთა საქართველოსა და ამერიკის მთავრობებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ასპექტები.

ამ თემაზე საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსს შალვა ფიჩხაძეს.

– ბატონო შალვა, რამდენად შეიძლება მიაყენოს ზიანი რუსეთის უშიშროების სტრატეგიულ ინტერესებს საქართველოსა და ამერიკის მთავრობებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებამ? როგორ აფასებთ რუსეთის სათათბიროს მიერ 16 აპრილს მიღებულ განცხადებას?

– რუსეთის ფედერაციის სათათბიროს მიერ მიღებული განცხადება საქართველოსათვის შემაშფოთებელი არ უნდა იყოს, რადგან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს არა რუსეთის სათათბირო, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლება და, უფრო კონკრეტულად, პრეზიდენტი. რუსეთის პრეზიდენტს, კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებით, შეუძლია იმგვარ გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც შეიძლება საერთოდ არ ეთანხმებოდეს სათათბიროს გადაწყვეტილებებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, სამივე ქვეყანა ანტიტერორისტული კოალიციის წევრი სახელმწიფოები არიან.

იხ. მე-2 გვ.

**დაჯილდოება**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 17 აპრილი ქ. თბილისი

**გერონტი კუხალეიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქვეყნის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციონირებაში, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ფაქტების გამოვლენაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობისათვის ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, საქართველოს კონტროლის პალატის დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **გერონტი კუხალეიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

**მხარე**

## რელიკვიად შემონახული სურათები,

### ანუ რამ გააოცა ვართ ოგანესიანი



ედუარდ შევარდნაძე ახალქალაქის სამეცნიერო-კვლევით მეურნეობაში.

ვართ ოგანესიანი ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონის სოფელ დიდ სამსარში დაიბადა. შვიდ დაძმაში უფროსი იყო. წიგნი უყვარდა. რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა, ინტერესით კითხულობდა. მამამისს მინდორში მეხი დაეცა და ადგილზე გაათავა. ვართა უმწიფარი მხრებით შეეცადა დედისათვის ოჯახის მძიმე ტვირთის შემსუბუქებას. დედამ შვილი სკოლას მაინც არ მოსწყვიტა – ახალქალაქის ზოოვეტტექნიკუმში შეიყვანა. ოთხი წლის მანძილზე მისი სურათი ფრიადოსნების დაფას არ მოსცილებია. სწავლას რომ მორჩა, სოფელ ხანდოში დაიწყო მუშაობა. მერე სამხედრო სამსახურიც მოიხადა. დემობილიზებული შემდეგ მშობლიურ სოფელში იღვწოდა – კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზეც სწავლობდა. იყო ალასტნის მეურნეობის დირექტორი, მიწათმოქმედების კვლევითი ინსტიტუტის ახალქალაქის ექსპერიმენტული მეურნეობის მეუნიერ-მუშაკი, დირექტორი. სომხურთან ერთად კარგად ფლობს ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებს. 1976-1977 წლებში მან მინსკის მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში [redacted] სათესლე-სასელექციო [redacted] ასპირანტურა [redacted] 11-ზე მეტი [redacted]

იხ. მე-2 გვ.

ბოლო 3 წლისა და 3 თვის განმავლობაში ჩვენი ენერგეტიკის დამაქცევრებზე, სასამართლოებში წარმართულა სისხლის სამართლის 62 საქმე. დღემდე განხილულია 50. 49 საქმეზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი (მხოლოდ 1-ზე გამამართლებელი, და ისიც პროკურატურას გასაჩივრებული აქვს). საბოლოო ჯამში, დასჯილია 57 კაცი, თუმცა ციხეში წასულა მხოლოდ... 2. აი, ასე: 3 წელიწადსა და 3 თვეში, ფაქტობრივად, პასუხი ვაგებინეთ მხოლოდ 2 კაცს, საერთო დამნაშავეთა 3,5 პროცენტს.

**ნავთობსადენი**

## დიდი საქმის საიმედო დასაწყისი

**საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭესთან, სასაზღვრო სოფელ ჯანდარაში, წარმატებული სტარტი აიღეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მაგისტრალის მშენებელ-მემონტაჟეებმა.**

– ნავთობსადენი გარდაბნის რაიონის 16 სოფელს გადაჰკვეთს. ასეთი მასშტაბის გიგანტური პროექტი ჩვენს რაიონში დიდი ხანია არ განხორციელებულა, – ამბობს გამგებელი **ნუგზარ ფერიაშვილი** და იქვე იხსენებს, გასული საუკუნის უმნიშვნელოვანესი ობიექტის, თბილისის თბოელექტროსადგურის მშენებლობას, რომელიც ამიერკავკასიაშიც კი ერთ-ერთი უდიდესი იყო. ამიტომ თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ საქმეს და წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოებიც ორგანიზებულად წარვმართეთ. ამაში აქტიურად დაგვეხმარა ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელობა, პირადად გიორგი ჭანტურია, რომელიც რაიონის ხშირი სტუმარია და საპრობლემო საკითხებსაც ერთობლივად ვწყვეტთ.

აქვე გამგებელი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. ზოგიერთები დღესაც ცდილობენ წყლის ამღვრევას, მაგრამ საქმისადმი სწორმა მიდგომამ, გამართულმა სტრატეგიამ საზოგადოებრივი აზრი მართებულ გზაზე დააყენა.

იხ. მე-2 გვ.

**ვალს გადახდა უნდა**

## ვადაგადაცილებული დავალიანებების მქონე გადამხდელები

გასულ ოთხშაბათს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხთა გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იმ გადამხდელთა (ორგანიზაციების) ნუსხაც გამოაქვეყნა, რომელთაც სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე საკმაოდ სოლიდური ვადაგადაცილებული დავალიანებები აქვთ. აი ისინიც:

იხ. მე-3 გვ.

**ინფორმაცია**

**მრავალეროვნული სამხედრო წვრთნა**

მრავალეროვნული სამხედრო წვრთნა „მედ კერი“ და „რესკიუერი“ საქართველოში მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა გაიმართოს. წვრთნა მოეწყობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ნატოს პროგრამის ფარგლებში.

წვრთნაში მონაწილეობისათვის მოწვეული არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი.

**ვეტერინარები ძალებს აერთიანებენ**

თანამეგობრობის ქვეყნების სავეტერინარო მედიცინის დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა 2005 წლამდე პროგრამის რეალიზაცია განიხილეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სავეტერინარო დარგში თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო საბჭოს მონაწილეებმა. მისი ოცდამესამე სხდომა, რომელშიც ქართველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ დამთავრდა მოსკოვში.

**ექსპერტებმა მოიწონეს პროექტი**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსა და მთავრობათა მეთაურების საბჭოს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ დოკუმენტის პროექტი შეათანხმეს მინსკში გამართულ სასწრაფო სხდომაზე. მთავრობათა მეთაურების საბჭოს გადაეცა სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს ზოგიერთი ფუნქცია.

**ნატოში ინტეგრაციისთვის**

– ივნისის დამდეგს საქართველოს მზად ექნება საქართველო-ნატოს თანამშრომლობის ეროვნული პროგრამა, რომელშიც აისახება ჩვენი ქვეყნისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი ურთიერთობის გეგმები, – აღნიშნა 18 აპრილს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ. როგორც მან განაცხადა, აღნიშნული პროგრამის შემუშავება და ამოქმედება ხელს შეუწყობს და დააჩქარებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს.

**ფართოვდება თანამშრომლობის ორგანიზაცია**

18 აპრილს ერევანში გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. საქართველოს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, საგარეო-პოლიტიკური უწყების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი დავით კერესელიძე და ამავე დეპარტამენტის რეგიონალური თანამშრომლობის სამმართველოს მრჩეველი გიორგი სურამელაშვილი.

**წინ, საქართველო!**

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრებმა გერმანიაში ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში ჯგუფის ფავორიტს – რუმინეთის გუნდს სძლია 9:8.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

**დღის ანეკდოტი**

„ვრემიას“ წამყვანი ეკრანზე:

— ახლა კი გემშვიდობებით. რეკლამის შემდეგ თქვენ ნახავთ სპორტის ახალ ამბებს, ამინდის ბიუროს პროგნოზს და რუბრიკას, რომელმაც საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა: „ცუდი ამბები ამერიკიდან“.

**ინდუსტრია**




კასპის ცემენტის ქარხანა მუშაობს. ამირან ადამაშვილის ფოტო.

**გვირეკავენ, გვეკით**[redacted]

– ვარ ავღანეთის ომის მონაწილე. ელექტრ[redacted] სახადისას მივრცელდებოდა შეღავათი (30 კვტ. სა[redacted] წლის აპრილიდან კი გადასახადს მახდევინებ[redacted]

გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა [redacted] როენერგიის გადასახადისას?

– 2002 წ[redacted] გარკვეული[redacted] ბზე (მათ შ[redacted] მწიფოთა [redacted] რძოლო მო[redacted] ლეებზე) შე[redacted] ღავათები [redacted] მოხმარები[redacted]

საქართვე[redacted] მიერ 2002 [redacted] ხელმოწერი[redacted] მლის შესაბ[redacted] ხელმწიფოთ[redacted] ბრძოლო მ[redacted] ლეებს ელექ[redacted] მოხმარება [redacted] (ნოემბერი-მ[redacted] ბათ 125 კვტ[redacted] ლო ზაფხულ[redacted] ოქტომბერი[redacted] თვეში.

[redacted]

დაგვირეკ[redacted]

**ამინდი დღეს**

**დასავლეთ საქართველოში** ქარი 15-20 მ/წმ.

**დაბლობში** ღამით $+11^0$, დღისით $+23^0$, **მთაში** ღამით $+8^0$, დღისით $+20^0$, **მაღალ მთაში** ღამით $-1^0$, დღისით $+13^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ქარი 10-15 მ/წმ.

**ბარში** ღამით $+4^0$, დღისით $+13^0$, **მთაში** ღამით $+1^0$, დღისით $+12^0$. **მაღალ მთაში** ღამით $-5^0$, დღისით $0^0$.

**თბილისში** ქარი 9-14 მ/წმ.

ღამით $+4^0$, დღისით $+13^0$.

**ლარის კურსი**

*19 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.4108 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1660 ლარი |
| ევრო | 1 | 2.3564 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0694 ლარი. |

**უკანასკნელ საათს**



ექიმებმა უარყვეს ხმები, რომ თამბაქოს წევა ადამიანის ატიპური პნევმონიისგან იცავს. ჰონკონგელმა ექიმებმა განაცხადეს, რომ პირიქით – მოწევა ასუსტებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს გარეგანი ინფექციების მიმართ, არღვევს გულის მუშაობას და სისხლის მიმოქცევას. პნევმონიით დასნეულებულ მწეველს გამოჯანმრთელების შანსი ბევრად მცირე აქვს.

შირაკი ცდილობს დაბრუნდეს საერთაშორისო არენაზე. საფრანგეთის პრეზიდენტს ერთობ აფიქრებს ის, რომ განზე არ დარჩეს ომისშემდგომი ერაყის ბედის გადაწყვეტისგან და „პრაგმატიზმსა“ და „ეფექტიანობაზე“ ქადაგებს, თუმცა ცოტა ხნის წინათ „პრინციპებსა“ და „მორალზე“ ლაპარაკობდა.



**ინტერპანორამა**

ფილიპინებში ჯვარზე გააკრეს 12 კაცი. ამ ქვეყნის დედაქალაქ მანილასთან ახლოს მდებარე სოფელ კუტუდში გაიმართა ყოველწლიური თეატრალიზებული წარმოდგენა, რომლის კულმინაციაც იყო ის, რომ 8 კაცი და 4 ქალი ნებაყოფლობით დათანხმდა ჯვარცმაზე.



ქურთებმა ამერიკელებს „ხელიდან ხელში“ გადასცეს ერაყელი ძებნილი, პარტია ბაასის ერთ-ერთი ლიდერი სამირ აბდალა აზიზ ან-ნაჯიმი. იგი უკვე მეოთხეა „55-ის ნუსხაში“, რომელიც დააპატიმრეს კოალიციის ძალებმა.




ამერიკელ საზღვაო ქვეითებს მშრალი საჭმელი მობეზრდათ. ისინი ახლა ჰუსეინის საყვარელი კერძით – ქურციკის ხორცით იკვებებიან. ცხოველებს ყოფილი დიქტატორის პირად აღკვეთილ ტერიტორიაზე კლავენ... ქვებით, რადგან ტყვიის სროლა აეკრძალათ.



„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინ[redacted]

საქართველოს რესპუბლიკა

№ 102, შაბათი, 19 აპრილი, 2003 წელი

პრეზიდენტი

# „თურქეთის სამხედრო დარგის სპეციალისტებს ძალზე გვაინტერესებს მსოფლიოში აღიარებული, გამოცდილი პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის რჩევები და მოსაზრებანი რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებზე“

პირველი გვერდიდან

როგორც სტუმარმა თქვა, იგი პირადად იცნობს საქართველოდან თურქეთის სამხედრო აკადემიაში სტაჟირებისათვის წარგზავნილ კურსანტებსა და ოფიცრებს: „ისინი განსაკუთრებული პიროვნებები არიან, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლისას ჩემი კოლეგების გაცნობამ, სტუმრობამ თქვენს სამხედრო აკადემიაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ქართველებს ამ საქმის დიდი ნიჭი აქვთ,“ — განაცხადა ჰილმი ოზქიოქმა.

მან წარმატებული უწოდა საქართველოს მონაწილეობას ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი ქვეყანა ღირსეულ ადგილს დაიკავებს ევროპაში განხორციელებულ ამ ტიპის ყველა სხვა პროგრამაშიც.

„თურქეთში დღეს არსებული ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, ჩვენ მზად ვართ, კვლავაც აღმოგიჩინოთ ფინანსური დახმარება ქართული ჯარის ფორმირების საქმეში და კიდევ უფრო გავაღრმაოთ თანამშრომლობა,“ — აღნიშნა არმიის გენერალმა.

საქართველოს პრეზიდენტის მოსაზრებით, სამხედრო სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა ანარეკლია სამართლებრივ ბაზაზე დაფუძნებული იმ განსაკუთრებული ურთიერთობისა, რომელიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა თურქეთსა და საქართველოს შორის.

„ეს შემთხვევითი როდია. ჩვენს ქვეყნებს საერთო ინტერესები ამოძრავებთ როგორც რეგიონში, ასევე უფრო ფართო მასშტაბითაც. ყველაზე დიდ მიღწევად მივიჩნევ ენერგოშემცველების დასავლეთის გზით ტრასპორტირების პროექტის გამარჯვებას, რითაც ჩვენი ქვეყნები თანაბრად იყვნენ დაინტერესებული,“ — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

მან მადლობა გადაუხადა სტუმარს იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ აღმოუჩინა საქართველოს სამხედრო უწყებას, კერძოდ, კადრების მომზადების საქმეში, სამხედრო აკადემიის ფორმირებაში, მარნეულის აეროდრომის ინფრასტრუქტურის განვითარებაში და სხვა.

„ბოლო ოთხი წლის მანძილზე ამ დარგში თქვენს მიერ გაწეულმა დახმარებამ 27 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა და ეს მაშინ, როდესაც თურქეთი თვითონ განიცდის გარკვეულ ეკონომიკურ სიძნელეებს,“ — მიმართა სტუმარს ედუარდ შევარდნაძემ.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებს და ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ნატოს გაფართოების პროცესს. „თუკი ბულგარეთისა და რუმინეთის შემდეგ, ნატოს წევრი გახდება საქართველო, ამ შემთხვევაში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები, შესაძლოა, სულ სხვა რაკურსით განვიხილოთ,“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ ერაყის ომის შედეგები გამოიწვევს არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ მთელი ევრაზიის სახეცვლილებას და გამოთქვეს მოსაზრება, რომ ახალ ვითარებაში სასურველია თურქეთისა და საქართველოს პრეზიდენტების უმაღლეს დონეზე შეხვედრა, რათა განიხილონ ჩვენი რეგიონის მომავალი განვითარების საკითხები.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

???????

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ბოლო დროს მიღებულ იქნა გარკვეული ზომები აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის პროცესის აქტივიზაციის თვალსაზრისით. კერძოდ, როგორც ცნობილია, 2003 წლის 19-20 თებერვალს ქ. ჟენევაში გაიმართა გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრა, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის ბატონ გიენოს თავმჯდომარეობით და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ქალბატონ ტალიავინის მონაწილეობით. ამ შეხვედრაზე განისაზღვრა ძირითადი მიმართულებები და ფორმატები პოლიტიკური გადაწყვეტის, ლტოლვილთა დაბრუნების, მათი უსაფრთხოების პირობების შექმნისა და აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების სტიმულირების მექანიზმების ბალანსირებული ამოქმედების საიმედო საფუძვლების შექმნისათვის. შემუშავდა რეკომენდაციები ამ მიმართულებებით თემატური ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით.

2003 წლის 6-7 მარტს ქ. სოჭში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტები შეთანხმდნენ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე, რომლებიც უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიც არის უსაფრთხოების პირობებში ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ღირსეული დაბრუნება, პარალელურად სოჭი-თბილისის გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პროცესთან, აგრეთვე კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაცია. მიღწეულ შეთანხმებათა თანახმად, მხარეებმა შექმნეს შესაბამისი სამუშაო ჯგუფები ორმხრივ საფუძველზე საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების წინასწარი შეთანხმებისა და განსაზღვრისათვის.

საქართველოს მხრიდან სოჭი-თბილისის გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ნიჟარაძე, „ენგურჰესის“ კასკადის რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად — საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ნუგზარ უფლისაშვილი. აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების საკითხების სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელის დანიშვნამდე დროებით სათავეში ჩაუდგება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე. საქართველოს მხარის სამუშაო ჯგუფების მუშაობის კოორდინაციას განახორციელებს საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე.

უკვე გაიმართა „ენგურჰესის“ კასკადის რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა. საქართველოს მხარე იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში ასევე გაიმართება სამუშაო ჯგუფების შეხვედრები სოჭი-თბილისის გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით, საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების განხილვის მიზნით.

ამასთან, საქართველოს მხარე დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და რუსეთის — როგორც ხელშემწყობი მხარის — საერთო მიდგომების შემუშავება, ხელს შეუწყობს 2003 წლის 19-20 თებერვალს ჟენევაში მიღწეულ შეთანხმებათა სწრაფ რეალიზაციას და ახლო მომავალში შესაძლებელს გახდის თემატური ჯგუფების მუშაობის დაწყებას მთელი საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს მხარე ასევე ელოდება კონკრეტულ წინადადებებს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ საკითხებზე და უსაფრთხოების გარანტიებზე, ჟენევის შეხვედრის რეკომენდაციების იმპლემენტაციისათვის გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლისაგან საქართველოს საკითხებში, შეხვედრის სხვა მონაწილეებისაგან და აუცილებლად მიაჩნია ზემოაღნიშნული საკითხების მთელ კომპლექსთან დაკავშირებით გაწეული სამუშაოების შედეგების განხილვა 2003 წლის ივნისში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წარმომადგენლების მორიგ შეხვედრაზე.

საქართველოს მხარე კვლავ ადასტურებს ერთგულებას აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისადმი და დარწმუნებულია, რომ 2003 წლის 19-20 თებერვლის ჟენევის შეხვედრაზე მიღებული რეკომენდაციების რეალიზაცია ხელს შეუწყობს კონფლიქტის სრულმასშტაბიანი გადაწყვეტის პროცესში რეალური პროგრესის მიღწევას.

**ქ. თბილისი, 2003 წლის 18 აპრილი.**

დღის თემა

# საქართველოს წყობიდან გამოყვანა რუსეთის სათათბირომ ამჯერად ვერ მოახერხა...



პირველი გვერდიდან

ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ჩვენს ქვეყანაში ქართული ანტიტერორისტული შენაერთების წვრთნა წარმოადგენს იმავე ტიპის თანამშრომლობის ნიმუშს, რა ტიპის თანამშრომლობაც აქვთ რუსეთ-საქართველოს, ასევე რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამერიკა არასოდეს გამოთქვამს პროტესტს და, პირიქით, მიესალმება საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურების, ასევე სასაზღვრო უწყებათა თანამშრომლობას. ამ თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ გასჩენია ამერიკას. ისევე როგორც ამერიკელები არ გამოხატავენ არანაირ პროტესტს იმის თაობაზე, რომ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული. ხოლო ის ფაქტი, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების თანამშრომლებს, ამერიკელი ინსტრუქტორებისაგან განსხვავებით, დღეს სავიზო რეჟიმით უხდებათ გადაადგილება, ამაში რუსეთივეა დამნაშავე. სწორედ რუსეთმა დააწესა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი. ორი წლის წინათ კი, რუსი სამხედროებიც ისევე უვიზოდ გადაადგილდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც დღეს ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები. გააუქმოს რუსეთმა სავიზო რეჟიმი და რუსი სამხედრო მოსამსახურეებიც სწორედ ისე უვიზოდ გადაინაცვლებენ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ამერიკელი ინსტრუქტორები.

ის, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია ეწინააღმდეგება რუსეთის უშიშროების სტრატეგიას, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურადაც კი ჟღერს. პირადად ჩემთვის, გაურკვეველია, საერთოდ, რა არის რუსეთის უშიშროების სტრატეგია. არა მგონია, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ჯერჯერობით მკაფიოდ ჰქონდეს ჩამოყალიბებული უშიშროების სტრატეგია და ინტერესები კავკასიაში. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი სერიოზული რუსი პოლიტიკოსისაგან არ მსმენია არგუმენტირებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა არის მათი ინტერესი კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. აქედან გამომდინარე, გაუგებარია რატომ და ვის უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ შეთანხმების რატიფიკაცია.

რაც შეეხება მოსაზრებას, თითქოსდა ამგვარი ნაბიჯით საქართველო რუსეთისადმი მტრულ დამოკიდებულებას გამოხატავს, ანუ თუ რუსეთის სათათბირო ამერიკა მტრულ ქვეყნად მიაჩნია, ეს მაშინ მათი პრობლემაა და არა ჩვენი. მაგრამ საგულისხმოა, რომ რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ამგვარი აბსურდი არ თქმულა. დარწმუნებული ვარ, არც არასდროს ითქმება, პირიქით, პრეზიდენტები პუტინი და ბუში ყოველთვის საუბრობენ, რომ რუსეთი და ამერიკა არიან პარტნიორი სახელმწიფოები. მიმაჩნია, რომ რუსეთის სათათბიროში იმძლავრა იმ რაღაც ძველმა, საბჭოურმა განწყობილებამ, როცა ახლო თუ შორეულ ქვეყნებში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მტრების ძიება და საკუთარ წარუმატებლობათა მათზე გადაბრალება. რაც შეეხება სათათბიროს განწყობილებას, რომ დაირღვა ძალთა ბალანსი, არ ვფიქრობ, რომ აქ არსებობდა რამე სახის ძალთა ბალანსი, აქ იყო მხოლოდ არსებული მდგომარეობა. და რაც არ არსებობდა, იმის დარღვევა შეუძლებელია.

**— რამდენად არღვევს საქართველოსა და ამერიკის მთავრობათა ეს შეთანხმება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებს და რამდენად ეწინააღმდეგება მის უმთავრეს პრინციპებს? რუსეთის სათათბიროს მიერ მიღებულ განცხადებაში ერთ-ერთი მწვავე აქცენტი სწორედ ამ საკითხზეა გაკეთებული...**

— ამ საკითხისადმი ამგვარი პოზიცია შეიძლება იყოს განპირობებული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების სრული უცოდინარობით. ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს შეიარაღებებისა და ცოცხალი სამხედრო ძალის კვოტებს, რომელთა არსებობა ლიმიტირებულია მოცემულ ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ არეალში. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები თავიანთ სამხედრო ნაწილებს ცოცხალი ძალითა და შეიარაღებით განათავსებენ საქართველოში, მაშინ შესაძლებელი იქნება რაიმე დარღვევაზე საუბარი. ამ შემთხვევაში კი, სადღეისოდ საქართველოში დაახლოებით 80-მდე სამხედრო ინსტრუქტორი იმყოფება და ამ ფაქტს კვოტებზე არანაირი გავლენა არა აქვს. მით უფრო, რომ ამერიკელ ინსტრუქტორებს არა აქვთ საქართველოში მუდმივად არსებული სამხედრო შენაერთი ან სამხედრო ბაზა. აღსანიშნავია, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვოტების გადაჭარბება, ხელშეკრულების პირობების დარღვევა სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში არსებობით არის განპირობებული. და სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი უწინარესი მიზეზი და საფუძველი, თუ რატომ უნდა გავიდნენ დროულად რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოდან.

**— და, ბოლოს, ამ ტიპის განცხადების მიღება ხომ არ ნიშნავს, რუსეთის გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ საქართველოზე პოლიტიკური ზემოქმედების გააქტიურების მცდელობას?**

— პოლიტიკური ზემოქმედების მცდელობა ნამდვილად არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ ასეთი ტიპის არასერიოზულ განცხადებებზე საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, საერთოდ არ უნდა გამოხატოს რეაქცია. ამგვარი განცხადების მიღებით, რუსეთის სათათბიროს წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამიტომაც საქართველომ ამ განცხადების საპასუხოდ საერთოდ არ უნდა გამოხატოს რაიმე პოზიცია.

ესაუბრა
**ნინო გაბრიაძე,**
საქინფორმის კორ.

?????

# საარჩევნო ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“ ფართოვდება

**18 აპრილს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ ფორუმზე მეწარმეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომელშიც 14 ორგანიზაცია შედის, საარჩევნო ბლოკში „ახალი საქართველოსათვის“ შესვლის სურვილი გააცხადა.** აქ შეკრებილი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ უერთდებიან ფართო საზოგადოების პოლიტიკურ მოსაზრებას და სრულად იზიარებენ ბლოკის ძირითად იდეალებს, მის პლატფორმას — დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ ღირებულებათა ერთგულებას, მათ შორის სოციალური ჰუმანიზმის პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს მეწარმეობისა და პიროვნული ინიციატივის მხარდაჭერას.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და ბლოკის ახლად დანიშნული სპიკერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი.

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ შემოდგომაზე დაგეგმილ პარლამენტის არჩევნებამდე ბლოკში კიდევ არაერთი სხვა ორგანიზაცია გაერთიანდება.

**საქინფორმი.**

მხარე

# რელიკვიად შემონახული სურათები

პირველი გვერდიდან

ვართ ოგანესიანი დღესაც ენერგიულად და მონდომებით მუშაობს. კარგად იცნობს ჯავახეთის ნიადაგებს, მის ბუნებას, კლიმატს. როგორც თვითონ ამბობს, მიწის სუნთქვა და ენა ესმის. როგორც კი ზეგანზე თოვლის საფარი შეთხელდება, უკვე მინდორშია.

მეურნეობა 1990 წლამდე 216 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობს ფლობდა. ეწეოდნენ სამეცნიეროკვლევით მუშაობას. მეურნეობა ამ დანიშნულებით დღესაც აგრძელებს საქმიანობას, თუმცა ამჟამად მის განკარგულებაში მხოლოდ 27 ჰექტარი სახნავი ფართობია, ისიც მთლიანად სათესლე ჯიშების გამოყვანას ეთმობა. სწორედ აქ მოწეული საუკეთესო თესლით მარაგდება ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები. შარშანდელი ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად ერთ ჰექტარზე საშუალოდ 3000 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს, რაც, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, საუკეთესო მაჩვენებელია. მიმდინარე წლისათვის სავარგულების გადიდებას აპირებენ. ამისათვის სულდისა და კარწახის მინდვრებს არენდით იღებენ.

ვართ ოგანესიანი ჩინებული პიროვნებაა. მას მიაჩნია, რომ ყოველგვარი წარმატების საფუძველთა საფუძველი ურთიერთგაგება და მეგობრობაა. ამ გრძნობას უფრთხილდება კიდეც, მადლიერებით ახსენებს დალი გოგინაშვილს, ვლადიმერ ქევხიშვილს, ზურაბ ჭიჭინაძეს, გიორგი ონიანს. ჩემი წარმატებები მათთან მეგობრულმა დამოკიდებულებამაც განაპირობაო.

სალაპარაკო და გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვს შვიდ ათეული წლის კაცს. მსმენელის ყურადღებას ერთი შეხედვითვე იპყრობს არა მარტო გამართული ქართულით, არამედ დახვეწილი ინტონაციით. — სხვანაირად როგორ იქნება, მე ხომ საქართველოს მოქალაქე ვარო, — გვითხრა.

გაიხსენა 1980 წლის აგვისტო, როცა ახალქალაქის ექსპერიმენტულ მეურნეობას ედუარდ შევარდნაძე სტუმრობდა. მას დიდი ინტერესით დაუთვალიერებია ნათესები, უკითხავს, როგორი მოსავალი გექნებაო.

— სანამ რამეს ვიტყოდი, — ამბობს ვართი, — ედუარდ შევარდნაძემ ჩაიმუხლა, კარტოფილის ბუჩქი მოქაჩა, მერე ხელის მსუბუქი მოძრაობით ნაყოფი შეაგროვა, დაახარისხა და მის ჯიშობრივ მახასიათებლებზე მკითხა. ყოველივე ეს ჩემთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ ქვეყნის მეთაურს დაბნეული მივჩერებოდი... აღარ მახსოვს, რა ვუპასუხე...

მერე მან გადმომილაგა ოჯახში რელიკვიად შემონახული სურათები, რომელთაგან ერთ-ერთს აქვე გთავაზობთ.

**ნათელა ცისკარაძე,**
გაზეთ „ასპინძის“ რედაქტორი.

წინ, საქართველო!

# უმაღლესი რეიტინგისა გამო

ახლახან კიევიდან დაბრუნებულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალეკო თავხელიძემ სამი დიპლომი და ერთი... ძვირფასი „ყანწი“ ჩამოიტანა: როგორც აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოცხადდა, პოპულარობისა და ხარისხის რეიტინგის საერთაშორისო აკადემიამ „ოქროს ფორტუნამ“ (მისი შტაბ-ბინა უკრაინის დედაქალაქშია) ბროლის სიუხვის რქით დააჯილდოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მისი პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე.

იმავე „ოქროს ფორტუნამ“ გიორგის მედლით „ღირსება, დიდება, შრომა“ აღნიშნა აკადემიკოსების ნოდარ ამაღლობელისა და როინ მეტრეველის ღვაწლი.

**თამაზ ეზანიძე.**

ნავთობსადენი

# დიდი საქმის საიმედო დასაწყისი

პირველი გვერდიდან

ამ საქმეს ემსახურებიან საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც თექვსმეტსავე სოფელში შეიქმნა. მათ სათავეში ამავე სოფლების გამგებლები უდგანან. საინიციატივო ჯგუფების, ნავთობსადენის კომპანიების და რაიონის ხელმძღვანელთა ერთობლივი ძალისხმევით დამუშავდა ღონისძიებათა ოპტიმალური ვარიანტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმ ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოსახლეობას სასიცოცხლოდ სჭირდება. კერძოდ შეკეთდება სკოლები, განახლდება კულტურის ობიექტები, გაუმჯობესდება სასმელი თუ სარწყავი წყლით მომარაგება.

**— იქნებ დავაკონკრეტოთ.**

— გარდა იმისა, რომ მოსახლეობა, რომელთა ნაკვეთებზეც მილსადენი გადის, იღებს მაღალ კომპენსაციას, მთელ რიგ სოფლებში აღდგება სარწყავი სისტემები. კერძოდ, ახალ სამგორში როგორც სასმელი, ასევე სარწყავი წყლის პრობლემა გადაიჭრება. ბევრი რამ გაკეთდება სტიქიური უბედურების შედეგად ჩამოსახლებულ ლემშვენიერაშიც — მოგეხსენებათ, ეს სოფელი უდაბნოს ზონაშია და წყლის პრობლემა დიდად აწუხებს. აქ განახლებას საჭიროებს საშუალო სკოლა, რასაც კომპანია საკუთარ თავზე იღებს. შვიდასკომლიანი სოფელ კრწანისის გაზიფიცირებაც მისი დაფინანსებით განხორციელდება. ნავთობის საერთაშორისო კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმი“ ქალაქ გარდაბნის კულტურის სახლის განახლებასაც გვპირდება. და ისიც, რომ რაიონის ბიუჯეტი დამატებით სახსრებს მიიღებს, ჩვენს ეკონომიკას დიდად წაადგება.



**— ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, პრობლემებიც არის.**

— სამწუხაროდ ასეა. საჯაროდ დაგვპირდნენ, სამუშაოზე უპირატესობა ადგილობრივ მოსახლეობას ექნებაო, მაგრამ ასე არ მოხდა. ახალ ობიექტზე მუშაობის სურვილი ხუთასამდე გარდაბნელმა გამოთქვა, მაგრამ სამშენებლო ორგანიზაცია „პეტრო თაგმა“ იქიდან ათიოდე კაციც ვერ შეარჩია. ვიმედოვნებ, მომავალში ეს პრობლემა მოგვარდება.

— ნავთობსადენის მაგისტრალზე გარდაბნიდან დაწყებული, რუსთავ-მარნეულში, თეთრ წყაროსა და წალკაში სამშენებლო სამუშაოები მაღალი ტემპით დაიწყო, — ამბობს პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ლევან მამალაძე, — მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, ობიექტების მშენებლობა გრაფიკის გასწრებით მიმდინარეობს. ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს სამშენებლო კომპანიებთან და თუ პრობლემები იჩენს თავს, ერთობლივად ვაგვარებთ ხოლმე. თეთრ წყაროში უკვე დასრულდა სასაწყობო მეურნეობის მშენებლობა, იქ მილებიც შეიტანეს და 30 კილომეტრის გაყვანილობისათვის საჭირო პროდუქციაც დაბინავებულია. ამასთან, ყველგან ადგილობრივი მუშახელი დასაქმდა. მხოლოდ გარდაბანში მოხდა გაუგებრობა, მაგრამ ისიც გამოსწორდება. ყველა კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი აღრიცხვაზეა აყვანილი და გადასახადებსაც ადგილობრივ ბიუჯეტში იხდიან, ეს რაიონების ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს ხელფასები დროულად დაარიგონ და ინფრასტრუქტურასაც მიხედონ. თეთრი წყაროს რაიონულ ბიუჯეტში უკვე რამდენიმე ათასი მანეთი შევიდა. წარმატებით მიმდინარეობს მიწის კომპენსაციების გაცემა, მოსახლეობამ ამოისუნთქა. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მალე ამ გიგანტური მშენებლობის სიკეთეს ყველა იგრძნობს.

ასეც არის, დიდი აბრეშუმის გზა თავის მადლს ჰფენს მოსახლეობას. სოფელ ჯანდარიდან, რუსთავის გავლით წალკამდე, ფართოდ გაშლილ სამშენებლო პოლიგონებზე გუგუნებენ მძლავრი ბულდოზერები, მანქანა-ტრაქტორები, ვრცელი სასაწყობო მეურნეობები შემოკავდა ლამაზად შეღებილი ღობეებითა და მავთულბადეებით. ერთ ასეთ ობიექტზე წითელჩაფხუტიან და მუქლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილ ჭარმაგ მამაკაცს ვილჰელმ მიქაძეს გავესაუბრე.

— დიდი საქმე კეთდება, გვეშველა. ხუთი წელი უმუშევარი ვიყავი. ქარხანა, სადაც რამდენიმე ათეული წელი ვმუშაობდი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, სხვაგან კი საჩემო ვერაფერი მოვიძიე. და აი, ახლა აქ ვარ, ხელფასი ნორმალურია, დღეში ერთხელ გვასადილებენ, სამუშაოც ჩინებულია, ყველაფერს ხალისიანად და ხარისხიანად ვაკეთებთ, ოჯახიც დავაპურე. სამუშაოს მსურველი სხვაც ბევრია, იმედია მათთვისაც გამოიძებნება საქმე.

დიახ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი დასავლეთისკენ მიიჩქარის. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღო მიწის კომპენსაცია. ხალხი წელში იმართება. ეს ჯერ მხოლოდ დიდი საქმის დასაწყისია.

**გივი ჯახუა.**

## თავი შევიკავოთ მოგზაურობაზე

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობა საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს ატიპიური პნევმონიის გავრცელების გამო სამხრეთ ჩინეთის პროვინციაში, ჰონკონგსა და სინგაპურში გარკვეული დროის განმავლობაში არ წავიდნენ.**

**„ამის მიზეზი კი იმ ქვეყნების რაოდენობის ზრდაა, სადაც ატიპიური პნევმონია დაფიქსირდა“, — განუცხადა „ინტერ-პრესს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ. მისი თქმით, ქვეყნებს, სადაც ატიპიური პნევმონია იყო გავრცელებული, ინდოეთიც დაემატა. დღეისათვის აღნიშნული ვირუსი მსოფლიოს 27 ქვეყანაშია გავრცელებული.**

**მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაავადება ე. წ. კორნა ვირუსისგან ვრცელდება, რომელიც შესაძლოა ცხოველებიდან გადავიდა ადამიანებზე და მუტაცია განიცადა, დღეისათვის 160 ადამიანი უკვე გარდაიცვალა და 3 000 კი დაავადებულია.**

## ირინა სარიშვილი ბლოკ „ახალი საქართველოსთვის“ სპიკერი გახდა

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია სახელისუფლებო ბლოკის „ახალი საქართველოსთვის“ სპიკერის თანამდებობაზე დაინიშნა.**

**როგორც პრაიმ-ნიუსს ამ ბლოკთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სახელისუფლებო ბლოკში საარჩევნო შტაბის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც ასრულებს.**

**ამასთან, იგი კურირებას გაუწევს ბლოკის საპროპაგანდო ჯგუფს.**

**საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ ბლოკში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გასულ კვირას გაწევრდა.**

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.**

დერეფანი

# მარტვილის „დიდი აბრეშუმის გზა“

პირველი გვერდიდან

ამ სასიკეთო საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქველმოქმედმა და ბიზნესმენმა გივი მიქელაძემ, მარტვილის მკვიდრმა, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ტარიელ ღვაბერიძემ. ეს ხაზგასმით ითქვა რაიონში გამართულ თავყრილობაზე, სადაც დაფუძნდა „დიდი აბრეშუმის გზის“ პირველადი ორგანიზაცია.

სანამ ოფიციალური ღონისძიება დაიწყებოდა, რაიონის გამგებელმა ჯამბულ წულაიამ სტუმრები მარტვილის გივი ელიავას სახელობის ეროვნულ მუზეუმში მიიწვია. აქ დაცული ექსპონატები მართლაც უნიკალურია და ნებისმიერი ქვეყნის მუზეუმს დაამშვენებდა. ერთ სტენდზე, რაიონის უთვალსაჩინოესი ადამიანების სურათებია გამოფენილი. ისინი ნამუსიანად აგრძელებდნენ დიდი წინაპრების — გიორგი ჭყონდიდელის, იოანე მინჩხის, ამბროსი ხელაიას და სხვათა წამოწყებულ საქმეს, რაც ერის მსახურების დიდებული ნიმუშია. სტენდებიდან გვიცქერდნენ ქართული მათემატიკური სკოლის მამამთავარი ილია ვეკუა, სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი მარგალიტი სიმონ ჩიქოვანი, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები და ლიტერატორები: სერგი დანელია, აკაკი გაწერელია, სერგი ჭილაია, პარმენ ზაქარაია, დიდი ზურაბ ანჯაფარიძე, ფეხბურთის მაესტრო მურთაზ ხურცილავა, ბეჭდაუდებელი ფალავანი რომან რურუა... სწორედ მარტვილში, მექი ფალავას ოჯახში სტუმრობისას წარმოსთქვა დიდმა ილიამ ფრთიანი ფრაზა — „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე“.

აქ ყოველ ნაბიჯზე დიდი ისტორია თვლემს. ყველაფერს ფხიზლად ადევნებს თვალს მარტვილის მარიამ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ყოველივე ამას ემატებოდა ჯერ კიდევ თოვლით დაფარული მთების დიდებული პანორამა და კულტურის სახლში შეკრებილი ასობით მარტვილელი, რომლებმაც სტუმრებსაც ინტერესით მოუსმინეს და თვითონაც არაერთი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს. მათ გულისწყრომა არ დაუფარავთ იმ პარლამენტართა მიმართ, ვინც თავის დროზე კენჭი მარტვილში იყარა, მაგრამ როგორც კი დეპუტატის მანდატი მოისხა, ამომრჩევლები აღარ გახსენებია, — ჩვენ არც ერთ მათგანს ხმას აღარ მივცემთ, — განაცხადეს ორატორებმა.

არადა, როგორც გვითხრეს, რამდენიმე პარტიამ უკვე მოსინჯა ნიადაგი, „დასაბვერად“ გააგზავნა თავისი ემისრები, მაგრამ ერთხელ მოტყუებული ხალხი მათ ანკესზე აღარ წამოეგება.

მაინც, ასეთ ფონზე რისი იმედი უნდა ჰქონდეს „დიდი აბრეშუმის გზის“ მეთაურს აკაკი ჩხაიძეს? რისი და, თუნდაც იმისი, რომ მისი ხელმძღვანელობით ბოლო წლებში „საქართველოს რკინიგზამ“ თითქმის გააათმაგა ტვირთზიდვა. შარშან გადატანილია 15 მილიონი ტონა ტვირთი, 13 მილიონით მეტი 1993 წლის მაჩვენებლებთან შედარებით! შემოსავლებმა 250 მილიონი ლარი შეადგინა, აქედან 60 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა.

— ეს ის ფულია, — იტყვის ცოტა მოგვიანებით მარტვილის გამგებელი ჯამბულ წულაია, — რომლითაც ვისტუმრებთ პედაგოგების ხელფასებს, პენსიებს. წლეულს ტვირთზიდვა 3 მილიონი ტონით კიდევ გაიზრდება. როგორც წესი, დამატებითი შემოსავლის ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტსაც შეავსებს.

— უახლოეს ხანში, რაღაც წელიწადნახევარში, საქართველოს რკინიგზის ტვირთბრუნვა გაორმაგდება. ეს მოითხოვს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მატერიალური ბაზის გაფართოებას, რაც, თავის მხრივ, სულ ცოტა, 10 ათას ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, — ბრძანებს აკაკი ჩხაიძე.

საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს უკეთესი მომავლის იმედი არ დაუკარგავს. იგი ჩინებულად ხედავს, ვინ ვინ არის. აი, რა თქვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ანზორ კვარაცხელიამ: — „ამ რამდენიმე დღის წინათ ბატონ აკაკის ჩვენმა სტუდენტებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ის ხომ ამ უნივერსიტეტის კათედრის გამგე და აღიარებული მეცნიერია. „საქართველოს რკინიგზაში“ მოღვაწეობამ მისი ახალი თვისებები — პერსპექტივის ჭვრეტის უნარი, მეურნეობრიობა, მაღალი პროფესიონალიზმი, ხალხისადმი გულშემატკივრობა დღის სინათლეზე გამოიტანა. სხვა რომ არაფერი, ამის საილუსტრაციოდ „ლოკომოტივის“ დიდებული სტადიონიც იკმარებს. „დიდი აბრეშუმის გზა“ ბევრ სიკეთეს მოიტანს. ამიტომ, მართალია, დღემდე არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ, ამ მოძრაობაში კი აქტიურად ჩავებმები...

— კუჩხი ბედინერი თქვენს აქ ჩამობრძანებას, — ასე დალოცა სტუმარი რაიონის გამგებლის მოადგილემ ნუგზარ ცანავამ, როგორც ერთ დროს გიორგი ჭყონდიდელმა „ერთ სულ და ერთ ხორც“ შეკრა სრულიად საქართველო, ისე უნდა შეკრას და გააერთიანოს იგი თქვენმა ახალმა მოძრაობამ, რისთვისაც მხარს გიჭერთ კიდეც.

— ახლა ბლოკებში გაერთიანება მოდად იქცა. ნეტამც ორი ბლოკი დარჩებოდეს, გვეცოდინება მაინც, ვინ ავირჩიოთ და ვინ — არა, ვის ვენდოთ, ვის მოვთხოვოთ პასუხი... ჩვენ საქმიანი, თქვენისთანა ხალხი გვჭირდება. გვაქვს შესანიშნავი სტადიონი. იქნებ „ლოკომოტივის“ ბაზად გამოიყენოთ? პირობას გაძლევთ, რომ ერთ მურთაზ ხურცილავას კიდევ გავიზრდით, — ასე მიმართა აკაკი ჩხაიძეს მარტვილის რაიონის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ემირ გალდავამ.

იყო სხვა გამოსვლებიც.

— როცა აქ მოვდიოდი, ჩემს კოლეგებს გავეხუმრე, აკაკი ჩხაიძე მოდის და რკინიგზა უნდა შემოიყვანოს-მეთქი, — კაი საქმეზე მოდის და მხარი დაუჭირეო, — დამაბარეს. რკინიგზის შემოყვანისა რა მოგახსენოთ და, მართლაც კარგ საქმეზე რომ ჩამობრძანდით, დღესავით ნათელია. ჩათვალეთ, რომ მარტვილელი პედაგოგები „დიდი აბრეშუმის გზის“ მხარდამჭერნი ვიქნებით“, — ეს სკოლის დირექტორის დარეჯან სხულუხიას სიტყვებია.

მოკლე და შთამბეჭდავი იყო აკაკი ჩხაიძის გამოსვლა. მან კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტ შევარდნაძის წვლილი „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინებაში. — მახსოვს, — თქვა მან, — როგორც პრეზიდენტის მრჩეველი და ტრანსპორტის კოორდინატორი, უზბეკეთში მიმავლინეს. ჩემმა ვიზიტმა ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ უზბეკეთის პრეზიდენტმაც კი მიმიღო. მერე იყო ტაშკენტის შეხვედრა. ასე დაიწყო „დიდი აბრეშუმის გზა“, რომელიც ბევრს ფუჭი ოცნება ეგონა. დღეს უკვე რეალობაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი; შაჰდენიზის გაზსადენი. შეერთდა ყირგიზეთისა და ჩინეთის რკინიგზები. ეს მილიონობით ახალ დაკვეთას და, მაშასადამე, დამატებით შემოსავლებს ნიშნავს, შემოსავლებს, ქვეყანას, ხალხს რომ უნდა მოხმარდეს. ჩვენ სისხლხორცეულად გვაინტერესებს, ვინ მოხვდება ახალ პარლამენტში. ეს საქართველოს მომავალია, მოლაყბეების დრო წავიდა: ვინც ხალხი ერთხელ უკვე მოატყუა, იქ აღარაფერი ესაქმება. თქვენ არ უნდა ენდოთ იმათ, ვისაც მხოლოდ არჩევნების წინ ახსოვხართ — ცრუ დაპირებები მათი ცხოვრების ნორმაა. გარდატეხა აუცილებელია და ამ გარდატეხას თქვენი თანადგომით მივაღწევთ... დავათვალიერე თქვენი შესანიშნავი მუზეუმი. დიდებულია. გამოვნახავთ საშუალებებს და უეჭველად დავეხმარებით.

— მე პირადი ურთიერთობებიც მაქვს ბატონ აკაკი ჩხაიძესთან. ის საქმიანი თვისებებით ამაღლებული კაცია“. ამიტომ ვამბობ: „დიდი აბრეშუმის გზა“ — სრული სვლით!“

ფაქტობრივად, ამით ყველაფერი ითქვა.

ამ სიტყვების ავტორი კი ჯამბულ წულაია გახლდათ.

და ამ სიტყვების დასტურად მან აკაკი ჩხაიძეს მხრებზე თეთრი, ქათქათა მეგრული ნაბადი წამოასხა.

მარტვილში ასე დაფუძნდა „დიდი აბრეშუმის გზის“ პირველადი ორგანიზაცია, რომელსაც რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ბადრი გვილავა უხელმძღვანელებს.

ეს ის ბადრი გვილავა გახლავთ, რომელზეც 3 აპრილს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნე ჩანახატი „შეუკვეთავი კონცერტი“.

მიხარია, რომ ალღომ არ მიმტყუნა — ბადრი გვილავა ღირსეული კაცია, მარტვილელებიც მას გაჰყვებიან.

„კუჩხი ბედინერი“ — ამ სიმღერით შეეგებნენ „დიდი აბრეშუმის გზის“ მოთავეებს მარტვილელები და ამავე სიმღერით დაულოცეს გზა თბილისისაკენ.

**ელგუჯა ლეჟავა,**
სრ „სპეც. კორ.
მარტვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თავისუფალი ეკონომიკური ზონა

**თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი საქართველოში მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ჯერ კიდევ აკაკი ბაქრაძემ დააყენა. მას მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს ეს გზა დამოუკიდებლობის მოპოვებას გაუადვილებდა.**

**ცოტა მოგვიანებით ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა. 1994-95 წლებში აჭარის ხელმძღვანელობამ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა მოითხოვა. მაშინ საქართველოს სახელმწიფო მეთურმა შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება ეკონომიკის სამინისტროს დაავალა. ეს გახლდათ პირველი კანონპროექტი თავისუფალი ეკონომიკური ზონის თაობაზე, რომელიც საქართველოში მომზადდა.**

**რა შეიცვალა იმ პერიოდიდან დღემდე? მაშინ თუ თანახმა გახლდათ საქართველოს პრეზიდენტი, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილიყო თავისუფალი ეკონომიკური ზონა, დღეს რა ხდება, რატომ ეწინააღმდეგება იგი ასე კატეგორიულად ასეთი ზონების შექმნას? ამ კითხვით მივმართეთ ექსპერტს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ეკონომიკის ექს-მინისტრს ლადო პაპავას, ვისაც იმ დროს უშუალოდ დაევალა თავისუფალი ეკონომიკური ზონის თაობაზე კანონპროექტის მომზადება.**

როგორც ბატონი ლადო განმარტავს, ეს რომ ავხსნათ, რამდენიმე გარემოების გათვალისწინება დაგვჭირდება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა — ეს არის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, რომელიც ჩაყენებულია განსხვავებულ ეკონომიკურ რეჟიმში, სადაც ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური კანონმდებლობა გარკვეულწილად შეზღუდული, გამარტივებული და გალიბერალებულია.

— მაშინ, როდესაც დაგვევალა ამ კანონპროექტზე მუშაობა, — ამბობს ბატონი ლადო, — საქართველოში გამოიყენებოდა ისეთი არასატარიფო რეგულირება, როგორიცაა ექსპორტსა თუ იმპორტზე აკრძალვები, კვოტირება, ლიცენზირება, [illegible]

[illegible] ხოლო იმპორტირებული ნედლეული, რომელიც საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება. პრაქტიკულად განთავისუფლებულია გადასახადისგან. ასე რომ, ამჟამად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ისეთი ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმი მოქმედებს, რომელიც დამახასიათებელია თავისუფალი ეკონომიკური ზონისათვის. აქედან გამომდინარე, დღეს საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონმდებლობაზე მუშაობა და ასეთი ზონის შექმნა ეკონომიკური თვალსაზრისით უაზრობა და ღია კარის მტვრევას ნიშნავს.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ კანონპროექტში, რომელიც „აღორძინების“ დეპუტაციამ წამოაყენა, არის ისეთი შეღავათებიც, რომელსაც არ ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა.

[illegible] ღავათებით ისარგებლებენ, რითაც მანამდე სარგებლობდნენ. ბიუჯეტი კი ამით ბევრს ვერაფერს მიიღებს. ასე რომ, ეს ისეთი შეღავათია, რისი დაკანონებაც არაფრით არ შეიძლება.

ბატონ ლადო პაპავას აზრით, ეკონომიკური თავისუფლება ცალკეულ ზონებზე კი არა, მთელ ქვეყანაზე უნდა გავრცელდეს.



# dbc f&ktdc [tkc cfmfhsdtkjc ufrjnht,f0

### ანუ რატომ არის პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის წინააღმდეგი

[illegible] ბის პირობებში რა გარანტიაა, რომ ეს საწარმოები ორი წლის შემდეგ გამოამჟღავნებენ მოგებას? უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ორი წლის შემდეგ ეს საწარმოები საერთოდ გაკოტრებულად გამოცხადდებიან, მერე კვლავ გატარდებიან რეგისტრაციაში და იმავე შე-[illegible]

[illegible] ჭირო მაშინ ასეთი კანონის ამოქმედება და რეალურად რა შედეგს გამოიღებს იგი?

შედეგი მართლაც არასასურველი იქნება. როგორც კი ერთ რომელიმე რეგიონში ამოქმედდება ასეთი კანონი და შეიქმნება პრეცედენტი, განსაკუთრებული ეკო-[illegible]

ნომიკური ზონის სახით, მაშინვე ყოველი მაჟორიტარი დეპუტატი, გამგებელი, გუბერნატორი დაიწყებს თავის რაიონში პატარა „ზონუკების“ შექმნაზე ფიქრსა და ზრუნვას. საბოლოო ჯამში ქვეყანა ასეთი ზონებით საცერივით დაიცხრილება, რითაც უზარმაზარი პრობლემები შეექმნება ბიუჯეტს, ქვეყნის სტაბილურ განვითარებასა და სახელმწიფოში წესრიგის დამყარებას.

არსებობს სხვა არცთუ უმნიშვნელო პრობლემა. როგორც ცნობილია, თავისუფალი ეკონომიკური ზონები მთელ მსოფლიოში შავი ფულის გარეცხვისა და კრიმინალური საქმიანობის შენიღბვის საუკეთესო თავშესაფარია. საქართველო კი, როგორც ცნობილია, იმ ანტიტერორისტული კოალიციის წევრია, რომელსაც ამერიკა უდგას სათავეში. ასეთ ვითარებაში, როცა ქვეყანას უამრავი გადაუჭრელი შიდა პრობლემა აქვს, რომელიც საკუთარი ძალებით ვერ მოუგვარებია [illegible] და სხვათა დახმარებას, მოგვიწევს პარტნიორობა, თუ [illegible] ამერიკა, სისთვის [illegible] შექმნას და პრობლემების მომგებიან?

[illegible] ნიშნავს, რომ თუ ასეთ კანონს მივიღებთ, ფონდთან ისედაც გაფუჭებულ ურთიერთობას კიდევ უფრო გავირთულებთ და უაღრესად სავალალო ვითარებაში აღმოვჩნდებით.

საქართველოს დღეს საკმაოდ დიდი საგარეო ვალი დაუგროვდა, რომლის რესტრუქტურიზებაზე მალე პარიზის კლუბში დაიწყება მოლაპარაკება.იქ ჩვენი მთავარი პარტნიორი საერთაშორისო სავალუტო ფონდი უნდა იყოს. თუკი ყურად არ ვიღებთ მათ რჩევას, ვითომ გაგვიწევენ „აპეკუნობას“ და შეგვაწევენ სიტყვას კრედიტორებთან? არა მგონია, გამოდის, რომ პარიზში ჩვენ აღარავინ მოგვისმენს და ქვეყანა გაკოტრებულად გამოცხადდება. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ჩვენი ყველაზე დიდი და რთული კრედიტორი რუსეთია. ამ ქვეყნის ჩვენდამი დამოკიდებულებაც ცნობილია. მოდით, ნუ დავდგებით სირაქლემას პოზაში და პირდაპირ ვიკითხოთ, ვის აძლევს ყველაზე მეტად ხელს, რომ საქართველომ ურთიერთობა გაიფუჭოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თუ სხვა მეგობარ ქვეყნებთან?

ვის წისქვილზეც დაასხამს საქმის ამგვარი განვითარება წყალს, მგონი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

**შოთა მაჭარაშვილი.**

## პროკურატურა

**(პირველი გვერდიდან)**

კონტრაბანდისტებსა და ურჩ გადამხდელებზე საუბრისას ყოველთვის სვამენ ასეთ კითხვებს: ვინ მფარველობს მათ? რატომ არ ისჯებიან ისინი? ოთხშაბათის მთავრობის სხდომაზე გამოიკვეთა აზრი, რომ კონტრაბანდისტებიც და ურჩი გადამხდელებიც მთლად ისე, როგორც იტყვიან, მიშვებულები არ არიან. მათ საკმაოდ ჰყავთ „კრიშებიც“ და „შემწერებიც“. ესე იგი, ისინი ფულს მაინც იხდიან, ოღონდაც ეს ფული მიდის კერძო ჯიბეში და არა სახელმწიფო ბიუჯეტში.

მოდით, ავიღოთ ყველაზე დაზიანებული დარგი — სათბობ-ენერგეტიკა. აქ ბოლო წლებში დაიხარჯა 500-დან 700 მილიონ დოლარამდე (ზუსტად ვერც კი დაუანგარიშებიათ), მაგრამ ქვეყანა ისევ წყვდიადშია. მაშ, რას მოხმარდა კრედიტები, ინვესტიციები, თვით საბიუჯეტო თანხები? რას და, მავანთა და მავანთა ინტერესებს, პირად ანგარიშებს; დიდძალი ფული გადაიგზავნა უცხოეთის ბანკებში, ოფშორულ ზონებში. იმას უკან ეშმაკიც ვეღარ დააბრუნებს. დასჯით კი ვინ დაისაჯა? პასუხი ვის მოეთხოვა?

**ბოლო 3 წლისა და 3 თვის განმავლობაში ჩვენი ენერგეტიკის დამაქცევრებზე, სასამართლოებში წარმართულა სისხლის სამართლის 62 საქმე. დღემდე განხილულია 50. 49 საქმეზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი (მხოლოდ 1-ზე გამამართლებელი, და ისიც პროკურატურას გასაჩივრებული აქვს). საბოლოო ჯამში, დასჯილია 57 კაცი, თუმცა ციხეში წასულა მხოლოდ... 2. აი, ასე: 3 წელიწადსა და 3 თვეში, ფაქტობრივად, პასუხი ვაგებინეთ მხოლოდ 2 კაცს, საერთო დამნაშავეთა 3,5 პროცენტს.**

ეს ერთი უბედურება. ახლა მეორეც. ვინ მიდის სასამართლომდე (ანდა ციხემდე)? ისევ ჭიჭყინები, უპატრონოები. ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და სასამართლოშიც წარმართულია (სირცხვილით არც კი დაასახელეს ის რაიონი) დენის გადასახადიდან 12 ლარის „შეჭმაზე“. არის საქმეები, სადაც ფიგურირებს 50, 70, 120 ლარი და ა. შ. ის ხალხი კი, რომელთაც მილიონები წაიღეს, ან ბიუჯეტს დაუმალეს, ვერც პროკურატურამდე მივიყვანეთ და ვერც სასამართლომდე.

ავიღოთ, სულ ცინცხალი ფაქტი. ახლახან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა „საქგაზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი გურამ ჩიჩუა. გენერალურმა პროკურატურამ მოითხოვა მისი დაპატიმრება, რადგან ბრალად ედებოდა 546.819 ლარის დამალვა. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ არ დააპატიმრა, გირაოს ფასად შინ გაუშვა. თბილისის საოლქო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა, ჩიჩუას 3-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ... ბრალდებული გაიქცა.

შემდეგ, გურამ ჩიჩუას მისი წინამორბედი დირექტორი, ამჟამად პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი მიჰყვა. მას ასევე „საქგაზში“ ედავებიან 1.404.944 ლარის გადასახადის დამალვას. პროკურატურამ პარლამენტს სთხოვა თანხმობა მის პასუხისგებაში მიცემასა და დაპატიმრებაზე. ეს წინადადება 17 აპრილს უნდა განეხილა საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, მაგრამ... ნურას უკაცრავად. გადადეს. მერე ამას უნდა პარლამენტის ბიურო, მერე პლენარული სხდომა... ჰოდა, ამასობაში ახალი პარლამენტის არჩევნებიც მოვა და... ბეჟუაშვილიც გარეთ დარჩება ისევე, როგორც გარეთ დარჩა ბორის კაკუბავა. არადა, გურამ ჩიჩუასა და დავით ბეჟუაშვილის საქმეებში ლაპარაკია 2 მილიონი ლარის საბიუჯეტო თანხაზე. ვინ ამოიღებს მას?

კოლეგიაზე დიდი შეშფოთება გამოითქვა ფირმებისა თუ კომპანიების დაარსების ძალზე იოლი ხერხების გამოც. ვისაც მოეპრიანება, როცა მოეპრიანება, როგორც მოეპრიანება ისე აფუძნებს საწარმოს. დებს საწესდებო კაპიტალად 2.000 ლარს. მერე მიდის და 200.000-ის ოპერაციას ჩარხავს, ფულს ფლანგავს. ნუთუ არ შეიძლება მეთვალყურეობის გამკაცრება ამ ფირმებისა თუ კომპანიების შექმნისას? ბევრგან გაქნილი საქმოსნები, რომლებსაც წინასწარ ჩაფიქრებული აქვთ აფერისტული ოპერაციების განხორციელება, ანგარიშ-ფაქტურების გაყალბება თუ გადასახადების დამალვა. ფირმებსა და კომპანიებს აარსებენ ხეიბრების, მაწანწალების და, თქვენ წარმოიდგინეთ, მკვდრების სახელზეც კი... დიახ, ყოფილა მსგავსი შემთხვევა შიდა ქართლში. ასეთ ხალხს რას წაართმევ?

ხშირად საბიუჯეტო თანხების ამოუღებლობას ხელს უწყობენ თავად მაკონტროლებელი ორგანოებიც. რაჭაში თურმე 100 სახერხი საამქრო ისე გუგუნებს, ისე ხრავს ჩვენს ტყეებს, რომ ნახევარზე მეტი, სხვას ვინ ჩივის, მიწის გადასახადსაც კი არ იხდის. უფრო მეტიც, საქართველოს ზოგ რეგიონში ისე მცირეა მიწის გადასახადის ამოღების მაჩვენებელი, რომ სირცხვილიცაა ამ ციფრების დასახელება.

მაგალითების მოყვანა უხვად შეიძლება, თუმცა ახლა დავასახელებთ ქუთაისელ საგადასახადო ინსპექტორთა სრულიად გაუგებარ „ლოიალობას“ საგადასახადო კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ: **მიუხედავად ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული ოფიციალური ცნობისა, რომ სანქცია-ჯარიმების თანხა განსაზღვრულია 250-დან 300 ლარამდე, აქ 2000 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 აპრილამდე დარღვევებისათვის შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 441 ოქმზე მიღებულ დადგენილებაში დამრღვევები დაჯარიმებული არიან... მხოლოდ 15 ლარით! ნაცვლად 110.250 ლარისა, მათ მთლიანად დაკისრებული აქვთ მხოლოდ 6615 ლარის გადახდა. ბიუჯეტის საზიანოდ სხვაობა შეადგენს 103.635 ლარს.** ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს მოქმედ პირთა ჩანაფიქრი. მით უმეტეს, ეს არ არის, „ბოლო გულუბრყვილო შეცოდება“: დამრღვევებზე დარიცხული 15-ლარიანი ჯარიმების გადახდის შერჩევითი გადამოწმებით აღმოჩნდა, რომ არც ერთ მათგანს ეს მცირედი თანხაც არ გადაუხდია, ხოლო საგადასახადო ინსპექციას მდგომარეობის გამოსასწორებლად არანაირი ღონე არ უხმარია!

# ურჩი გადამხდელები... სასაფლაოდან

კოლეგიაზე დაუფარავად ითქვა, რომ მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკებთან ერთად კორუფციულ გარიგებებსა და საბიუჯეტო თანხების მითვისებებში ფიგურირებენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებიც. და იქნებ უფრო სჯობდეს არა კონტრაბანდისტების ან ურჩი გადამხდელების, არამედ მათი მფარველების მხილება და დასჯა. სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ზოგ რაიონში ზარალის დაბრუნების მაჩვენებელი 2-3 პროცენტის ტოლია. ცალკეული სტრუქტურებიდან ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს აფხაზეთის პროკურატურას — 21 პროცენტი. რა, ლტოლვილებმა შესძლეს, „აბორიგენებმა“ კი ვერა?

ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძის დავალებით, უახლოესი ერთი კვირის მანძილზე როგორც თბილისის პროკურატურის, ისე ყველა რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი წარმოადგენს საბიუჯეტო თანხების ამოღების რეალურ სურათსაც და სიტუაციის გაუმჯობესების პერსპექტიულ გეგმასაც. იმედია, ამით დიდი ყინული დაიძვრება!

**ბონდო გულიაშვილი.**

### ანტიტერორისტული პროგრამის ფარგლებში

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადას თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ინსტრუქტორები ანტიტერორისტული პროგრამის ფარგლებში გაწვრთნიან.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, კოჯრის ბრიგადის გაწვრთნის საკითხები დღეს თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძესა და თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს ჰილმი ოსქოქს შორის გამართულ მოლაპარაკებებზე დაზუსტდა.**

**კოჯრის ბრიგადას თურქი ინსტრუქტორები სამი წლის განმავლობაში მოამზადებენ და შესაბამის აღჭურვილობასაც გადასცემენ. ბრიგადის მომზადება სავარაუდოდ, ივნისის თვეში დაიწყება.**

### გაეროში იმსჯელეს

**ჟენევაში გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის 59-ე სესიაზე ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებიდან დევნილი მოსახლეობის განსახლებასა და ქონებრივ კონპენსაციაზე იმსჯელეს.**

**როგორც გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკითხებში დოქტორ ფრენსის დენგმა ქართულ მხარეს განუცხადა, მზადდება კონცეპტუალური ხასიათის დოკუმენტი, რომელშიც ამ პრობლემის მოგვარების შესაბამისი მექანიზმები იქნება მოცემული.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ამირან კავაძის განცხადებით, დოქტორ ფრენსის დენგი შექმნილ სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით საქართველოს მიმდინარე წლის შემოდგომაზე ეწვევა.**

### განხილვა დახურულ კარს მიღმა მოეწყო

**სასტუმრო „მარიოტში“ NDI-ის კოორდინაციით, საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების განხილვა დახურულ კარს მიღმა მოეწყო. დახურულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი და საარჩევნო სისტემის სრულყოფისათვის სახელმწიფო კანცელარიაში შექმნილი კომისია, აგრეთვე დღეს არსებული ცსკ-ს წევრები და ცსკ-ს თავმჯდომარე.**

**შეხვედრის მიზანი საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პარლამენტში წარდგენილი ორი სხვადასხვა ვარიანტის შეჯერება იყო. ძირითად უთანხმოებას საარჩევნო კოდექსის ცვლილებებთან მიმართებაში ცსკ-ს დაკომპლექტების წესი იწვევს.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## თავისუფალი თემა

**საქართველოში ახალი ძალა შეიქმნა. სახელისუფლებო ბლოკში „ახალი საქართველოსათვის“ ნელ-ნელა ერთიანდებიან ოპოზიციური პარტიებიც. ეს მოსახლეობაში მომავლის იმედს ბადებს, რადგან დღეს მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, უკვე ახლოს უნდა ვიყოთ ისეთ მიზანთან, როგორც არის საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების დაბრუნება, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება.**

**ახალი ბლოკის შექმნას ყველაზე ყურადღებით, ალბათ, შიდა ქართლიდან და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ადევნებს თვალს. ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარ მხრებზე გადაიტანეს უახლესი ისტორიის ყველა ქარტეხილი და დღემდე შინ დაბრუნების იმედით სულდგმულობენ.**

**თავის წინასაარჩევნო განწყობილებას გვიზიარებენ აფხაზეთიდან დევნილი ხელოვნების მუშაკები:**

**სვეტლანა ქეცბა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი:** — სახელისუფლებო ბლოკში, იმედი მაქვს, კვლავაც გაერთიანდებიან ის ადამიანები, რომლებთათვისაც უმთავრესია დემოკრატიული იდეალები. ძალთა დაქსაქსულობა კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას. პირიქით, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იღვაწონ იმისათვის, რომ მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოიყვანონ ქვეყანა, პროგრესისაკენ უნდა წარმართონ თავიანთი ძალისხმევა. არ უნდა შეიქმნას იმის საშიშროება, რომ საქართველომ დაკარგოს ის მონაპოვარი, რამაც დღემდე მოიყვანა.

ახალი მოძრაობა, იმედია, გააერთიანებს ხალხს თავისი ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეების საკეთებლად, იმედია, არჩევნების შემდეგ პარლამენტსა და ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკოსები მარტო საკუთარი კეთილდღეობისათვის კი არ იზრუნებენ, არამედ სიღატაკეში მცხოვრებ ადამიანებსაც მიხედავენ და მათი პრობლემის გადაჭრაზეც იფიქრებენ.

საქართველო ტრადიციების ქვეყანაა. უფროსების პატივისცემა წინაპართაგან მოსდგამს თაობებს, ასევე ყველა მოქალაქე ვალდებულია პატივი სცეს თავის მიერ არჩეულ პრეზიდენტს.

ახალი გაერთიანება რაღაცნაირად სიმბოლურია: თითქოს მას უნდა მოჰყვეს მთელი ქვეყნის მთლიანობა, აქ მცხოვრები მრავალეროვანი მოსახლეობის ერთი მიზნისთვის — საქართველოს კეთილდღეობისათვის ზრუნვა და სამსახური და ამასთან, უნდა მოჰყვეს დაკარგული ტერიტორიების შემოერთებაც.

**სულიკო სხულუხია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე:** — მივესალმები ამ გაერთიანებას, დროა შევიგნოთ, რომ ერთად ყოფნა აუცილებელია. ჩვენი გათიშულობით, როგორც ეს არაერთხელ გამოჩნდა, მტრის წისქვილზე ვასხამთ წყალს. ერთად შეკრულებს ვერავინ ვერ მოგვერევა. ახლანდელი ჩვენი არაკორექტული ქმედებებით ძალიან ცუდ მაგალითს ვაძლევთ ახალგაზრდებს. გვეყო ამდენი დაპირისპირება. პარტიათა გაუთავებელი შუღლისაგან დაიღალა ხალხი. არადა, რამდენია საქართველოში ღირსეული ადამიანი მაშინ, როცა ერთეულები ლაფში სვრიან ჩვენს კულტურას, ზრდილობას, ადათ-წესებს.

ამ ბოლო დროს ჩემში, ისევე როგორც მთელი აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში, იმედის ნაპერწკალმა იელვა. ეს კი განაპირობა ამერიკის პრეზიდენტის ნათქვამმა, — როცა მოვრჩები ერაყის პრობლემას, საქართველოს დავეხმარები საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაშიო.

დევნილებმა დიდი გაჭირვება ვიწვნიეთ. კარგ დღეში არც დანარჩენი მოსახლეობაა განვლილი კონფლიქტების შედეგად. უკვე დროა, სხვანაირი ცხოვრება დავიწყოთ, ქართველებმა და აფხაზებმა ისევ ერთად უნდა ვიცხოვროთ აფხაზეთში, ის ჩვენი ისტორიული მიწა-წყალია.

არჩევნები ახლოვდება და ამომრჩევლებს დიდი მისია გვაკისრია. შეცდომის უფლება აღარ გვაქვს. რომ არ შევცდეთ და ხმა არ მივცეთ უღირსებს. პარლამენტში უნდა მივიდნენ წესიერი, განათლებული ადამიანები, რომ ზნეობრივი ქვეყანა ააშენონ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კულტურას, განათლებას.

**ბიორბი რატიანი, საყმაწვილო თეატრ „თეთრი ტალღის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი:** — ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო სახელისუფლებო ბლოკში ოპოზიციური პარტიების გაერთიანება. ვნახოთ, კიდევ ვინ შეუერთდება მათ. საბოლოო მიზნებიც, ალბათ, მაშინ გახდება უფრო ნათელი.

# ნეტა მთელი საქართველო გაერთიანდეს...

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ახლა, როგორც არასდროს, ყველაზე მეტად სჭირდება პატრიოტი ადამიანები, ისინი, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული ქვეყნის სატკივარზე, ვისთვისაც მთელი მოღვაწეობის პერიოდში პრიორიტეტული იქნება იმ უამრავი პრობლემის მოგვარება, რომელიც ჩვენს ირგვლივ დაგროვდა.

აუცილებელია, ამჯერად ხელისუფლებასა და პარლამენტში მოვიდნენ საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლი, ინტელექტუალური ადამიანები, პოლიტიკოსები და არა ფულის მკეთებელი ხალხი.

**ზურამ ბოზმელიძე, გუდაუთის რაიონის რწმუნებულის მოადგილე:** — ყოველგვარი გაერთიანება პრეზიდენტის გარშემო, მისაღებია, რადგან მისი საგარეო პოლიტიკა მიმართულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ბოლო დროს აშკარად გამოიკვეთა ამერიკის შეერთებული შტატების დადებითი როლი ამ საქმეში.

მთავარი ჯერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაა, მერე — ყველაფერ დანარჩენს ეშველება, რაც შეეხება არჩევნებს, ამ მხრივ მე, პირადად, დიდი გამოცდილება მაქვს. როგორც გაგრის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ჩატარებული მაქვს ოთხი-ხუთი არჩევნები, რეფერენდუმი. აქედან გამომდინარე, ვიტყვი, რომ არჩევნების უფრო დემოკრატიულად გამართვისათვის მთავარია პროფესიონალი, პატიოსანი ხალხით დაკომპლექტდეს სარჩევნო კომისიები. რას ვითხოვთ დევნილები უპირველესად? — მთავრობა უნდა იყოს უფრო კატეგორიული საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, რომ მიეცეს კვალიფიკაცია აფხაზეთში მომხდარს და, თუკი გაეროს არ შეუძლია ამისი გაკეთება, მაშინ უნდა მოიძებნოს მისი ალტერნატიული ვარიანტი...

**ლია ჭილაძე.**

## ვალს გადახდა უნდა!

# გადაგადაცილებული დავალიანებების მქონე გადამხდელები

**(პირველი გვერდიდან)**

| | |
|---|---|
| 1 | [illegible] |
| 2 | [illegible] |
| 3 | [illegible] |
| 4 | [illegible] |
| 5 | [illegible] |
| 6 | [illegible] |
| 7 | [illegible] |
| 8 | [illegible] |
| 9 | [illegible] |
| 10 | [illegible] |
| 11 | [illegible] |
| 12 | [illegible] |
| 13 | [illegible] |
| 14 | [illegible] |
| 15 | [illegible] |
| 16 | [illegible] |
| 17 | [illegible] |
| 18 | [illegible] |
| 19 | [illegible] |
| 20 | [illegible] |
| 21 | [illegible] |
| 22 | [illegible] |
| 23 | [illegible] |
| 24 | [illegible] |
| 25 | [illegible] |
| 26 | [illegible] |
| 27 | [illegible] |
| 28 | [illegible] |
| 29 | [illegible] |
| 30 | [illegible] |
| 31 | [illegible] |
| 32 | [illegible] |
| 33 | შ.პ.ს. „[illegible]“ |
| 34 | [illegible] |
| 35 | [illegible] |
| 36 | [illegible] |
| 37 | [illegible] |
| 38 | [illegible] |
| 39 | [illegible] |
| 40 | [illegible] |
| 41 | [illegible] |
| 42 | [illegible] |
| 43 | [illegible] |
| 44 | [illegible] |
| 45 | შ.პ.ს. „[illegible]“ |
| 46 | შ.პ.ს. [illegible] |
| 47 | [illegible] |
| 48 | [illegible] |
| 49 | [illegible] |
| 50 | „[illegible]-1887“ |
| 51 | [illegible] |
| 52 | [illegible] |
| 53 | [illegible] |
| 54 | [illegible] |
| 55 | [illegible] |
| 56 | [illegible] |
| 57 | [illegible] |
| 58 | [illegible] |
| 59 | კახეთის პური |
| 60 | ს.ს. „კარდენახი“ |
| 61 | ს.ს . „ხორხა“ |
| 62 | ს.ს. „კოზიგი“ |

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 102, შაბათი, 19 აპრილი, 2003 წელი.

უკვდავება

# გულის პასუხი უმოკლეს ტალღებზე

**ჯერ სინედლე არ განელებია იმ დღეს, როცა უდიდესი სიყვარულით აღინიშნა ქართველი ხალხის დიდი შვილის, გამოჩენილი ქართველი მსახიობისა და სანიმუშო პიროვნების – გიორგი გეგეჭკორის დაბადების 80 წლისთავი (ცოტა ადრე მას “ხელოვნების ქურუმის” ახალდაარსებული წოდებაც მიენიჭა). ეს დღე არ ჰგავდა სტანდარტულ იუბილეს ადრესებითა და თეატრალიზებული მონტაჟით. ასე ინება თავად ბ-ნმა გიორგიმ, პირად ცხოვრებაში ერთ-ერთმა ყველაზე მოკრძალებულმა ქართველმა ხელოვანმა. მან ისურვა მოკლე ანგარიშით წარმდგარიყო თავისი ხალხის წინაშე, რომელსაც სიმბოლურად განასახიერებდა ის საზოგადოება, რომელიც დაიტია რუსთაველის კინოდარბაზის კედლებმა. ამ “ანგარიშს” ტელეფილმის სახე ჰქონდა და იგი ბატონ გიორგისთან ერთად განახორციელეს ია შერაზადიშვილმა და კოტე მირიანაშვილმა.**

ამ კომპოზიციურად ორიგინალურ ტელეფილმში იუბილარმა საინტერესო ექსკურსია შემოგვთავაზა თავისი სიყრმის ადგილებში და მეგზურობაც თვითონ გაგვიწია: გაგვანავარდა მშობლიურ ქუჩაბანდებში და გაგვაცნო მათი იმდროინდელი მობინადრენი; აბანოთუბანში დოლის რიტმულ ხმაზე აყოლებით ჩამოარაკრაკა ძველი თბილისის მჩქეფარე ცხოვრების ატრიბუტები, „მეიდანზე” დახვავებული ხორაგეული გამაბრუებელი სურნელებით; მოგვატარა თეატრალური ინსტიტუტი და რუსთაველის თეატრი, სადაც ლაღად მოგვითხრო მსახიობის დაოსტატების ძნელი გზის შესახებ. შემდეგ შინაც მიგვიწვია: გაიხსენა ძვირფასი წინაპრები (დედა – *თამარ გელოვანი,* მამა – *ლადო გეგეჭკორი,* ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ბაბუა – *გიორგი გეგეჭკორი*, მარტვილის მონასტრის უკანასკნელი დეკანოზი); წაგვიკითხა დაბადება-ნათლობის მოწმობები და გვიჩვენა საოჯახო ალბომი; ქალბატონ *ნათელა ურუშაძესთან* დაოჯახების ხიფათიანი ეპიზოდის გაცნობით მყისიერად გვაგრძნობინა სტალინური ეპოქის სუსხი.

ფილმის დინამიკა პარალელური ხაზებით ვითარდება: მთავარი გმირის მშვიდი თხრობა მიმდინარეობს მსახიობის ვაჟის, მხატვარ *გიორგი გეგეჭკორის* მიერ მამის პორტრეტის ხატვის ფონზე. ფილმის დასაწყისში მომზადებული მასალა (ტილო და საღებავები) „მოძრაობაში მოდის”: სურათზე ჩნდება პირველი კონტურები... ფინალურ კადრში კი პორტრეტი მზადაა. პირისპირ დგანან „დედანი” და მისი ორეული. აქამდე აქტიური ორიგინალი დუმილით უმზერს თავის ორეულს, შემდეგ ნელა შორდება მას და ბოლოს თვალს მიეფარება. ამით იგი თითქოს ამთავრებს (და ანგარიშს უსწორებს) წარმავალ ფიზიკურ სიცოცხლეს, რათა სურათში (შემოქმედებაში) განაგრძოს მარადიული სიცოცხლე (ან დაიწყოს ახალი ცხოვრება), რათა თუნდაც ამრიგად ახსნას *გარდაცვალების* ქარაგმა.

ყველა, ვისთვისაც ფასეულია ბუნებრიობის ხელოვნება, ამ დახვეწილი გემოვნებით შექმნილი ფილმის ნახვით უდიდეს სიამოვნებას მიიღებს, მიუხედავად იმ საყოველთაო გულისტკივილისა, რომელიც განგვაცდევინა ფილმის მთავარი და ერთადერთი გმირის თითქოს ლოგიკურმა და მაინც ულოგიკო წასვლამ ამ ქვეყნიდან. პირადად ჩემთვის ამ გაორებულ განცდებში ღირებულია ის გრძნობები და ფიქრები, ამ ფილმმა რომ აღმიძრა, და ის ძვირფასი მოგონებები, მან რომ გამიღვიძა.

* * *

მას შემდეგ, რაც ჩემი ბავშვობის ზღაპრების ჯადოსნურმა ეპოქამ ოდნავ უკან დაიწია, „სააბონემენტო კულტურასთან” ზიარების პარალელურად (თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრები), დედამ 9-10 წლის ასაკიდან „უფროსთა” თეატრებშიც დამიწყო ტარება. ეს იყო ოპერისა და რუსთაველის თეატრები – ახალი ხანა, ახალი ნიშნული ჩემს ცხოვრებაში.

მოხდა ისე, რომ ჩემი პირველი სპექტაკლები ამ თეატრებში „ყაჩაღური” იყო: ოპერაში ვნახე (და მოვისმინე) „კაკო ყაჩაღი”, ხოლო „რუსთაველში” – შილერის „ყაჩაღები”. პირველს, თუ არ ჩავთვლით თოფისა თუ დამბაჩის უეცარ გასროლაზე ჩემსავით გამოუცდელთა ერთობლივ შეხტომას და შემდეგ ახალი სროლის ხმის მოუსვენარ მოლოდინს, სხვა მხრივ დიდი კვალი არ დაუტოვებია: თეატრის ინტერიერი უფრო მაინტერესებდა; მეორემ კი ერთიანად შემძრა: ნოდარ ჩხეიძის ფრანც მოორი ჩემი პირველი ყველაზე ძლიერი თეატრალური შთაბეჭდილება იყო. დღესაც ცოცხალი განცდით მახსოვს ტახტისა და აკლდამის სცენები... ერთი-ორი თვე თავზარდაცემული დავდიოდი. ღამითაც ნიადაგ ამ სპექტაკლზე ვფიქრობდი და უზომოდ მეშინოდა ნოდარ ჩხეიძისა: ამ ბრწყინვალე მსახიობსა და მის გმირს შორის ურყევი ტოლობის ნიშანი მქონდა დასმული, როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე ბავშვებს (და ზოგჯერ არა მარტო მათ!)

მაგრამ (თუ სწორედ ამიტომ?) ქვეცნობიერად ფრანც მოორის შემზარავი ძალის დამთრგუნველი დადებითი გმირის ნახვა მწყუროდა, – ჩანს, სულიერი წონასწორობის აღსადგენად. ეს დღეც მალე დადგა: იმხანად მთელს ქალაქს რუსთაველის თეატრის ახალი სპექტაკლი – „ნიკოლოზ ბარათაშვილი” და მისი განმასახიერებლის – გიორგი გეგეჭკორის სახელი ეკერა პირზე. დედასაც დიდხანს არ დაუყოვნებია და წამიყვანა ოპერის თეატრში: მაშინ ეს სპექტაკლი იქ იდგმებოდა, ვინაიდან რუსთაველის თეატრის შენობა, თუ არ ვცდები, ახალი დამწვარი იყო. ესეც არ იყოს, „ყაჩაღების” შემდეგ ასე მალე მე იქ ფეხს რა მიმადგმევინებდა!

მთელი თეატრი (რა თქმა უნდა, ქანდარის ჩათვლით) სავსე იყო: რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა (დღეს ამას „სრულ ანშლაგს” უწოდებენ). დარბაზში ახალგაზრდობა ჭარბობდა, თუმცა სპექტაკლს არც ჭარმაგნი დაჰკლებიან და არც ჩემსავით სკოლის მოსწავლენი. და მაინც უმეტესობა სტუდენტობა იყო (მათ შევნატროდი და ამიტომ ისინი მუდამ ყურადღების არეში მყავდა). ისე ჩანდა, რომ ბევრი აქ მეორედ ან, იქნებ, მესამედაც იყო მოსული. აქეთ-იქით ჩურჩული ისმოდა: „ნახე, რა არის!” ან: „ჯერ სადა ხარ, მერე იქნება, რაც იქნება!”ეს „მერე”, როგორც მოგვიანებით გაირკვა, „მერანი” იყო – სპექტაკლის ნამდვილი კულმინაცია...

ვერ დავიჩემებ, სპექტაკლი კარგად მახსოვს-მეთქი, მაგრამ დარბაზის საერთო განწყობილება და მაჯისცემა ახლაც ცოცხალია ჩემს ხსოვნაში. მსახიობმა მთელი დარბაზი შეკრა პოეტის ერთგულ გულშემატკივრად. ახლაც თვალწინ მიდგას შთამბეჭდავი სურათი: ბარათაშვილი-გეგეჭკორი, სცენის მარჯვენა კუთხეში განმარტოებით მდგარი, თვალანთებული და მგზნებარე... კვლავ ზარივით ისმის მისი განწირული „გასწი, მერანო!”

მართლაც, სად არის „სამზღვარი” მსახიობსა და მის გმირს შორის? სულგანაბულ დარბაზში დიდი და პატარა ერთად და ერთნაირები ვიყავით: დიდები პატარებად ქცეულიყვნენ (ბევრი აკი ტიროდა კიდეც), პატარები – დიდებად. ყოველ შემთხვევაში, მე მაშინ დიდად ვიგრძენი თავი (და, მგონი, მართლაც გავიზარდე). ეს შეგრძნება ცხადად მახსოვს.

მას შემდეგ რამდენი შესანიშნავი როლი შეუქმნია მსახიობს თეატრშიც, კინოშიც, მაგრამ ბარათაშვილი „მარად და ყველგან თანამდევ სულად” მოევლინა მის და მისით შთაგონებულ განმახორციელებელს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ლადო გუდიაშვილის მიერ უფრო ადრე შესრულებული პორტრეტი პოეტისა, ბედნიერი დამთხვევით, ისევ გიორგი გეგეჭკორთან პოულობს სულიერ და თვით ფიზიკურ მსგავსებასაც კი.



როგორც ახლა ირკვევა, ეს ასოციაცია შემთხვევითი ან ოდენ პიროვნული არ ყოფილა. იგი საერთო-სახალხო აღქმად ჩამოქნა, ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, მსახიობის ღრმა წვდომამ პოეტის სამყაროში და ზუსტად მოძებნილმა ტონალობამ, მეორე მხრივ კი – იმდროინდელი მაყურებლის ზუსტმა ორიენტაციამ ქართული კულტურის სულიერ ფასეულობებში.

* * *

„ბარათაშვილის” ნახვის დღიდან მოყოლებული, ყურში სამუდამოდ ჩამრჩა გიორგი გეგეჭკორის განუმეორებელი ხმის ტემბრი, რომელსაც მე *კეთილშობილურ-ინტელიგენტურს* ვუწოდებდი. სწორედ ამიტომ, 1998 წელს, როცა საქართველოს ტელედეპარტამენტის წინაშე დაისვა საკითხი ქართულ ენაში ჩემი საავტორო ტელეგადაცემის შემოღების შესახებ და საჭირო გახდა ტექსტის რეზიუმეს წასაკითხად შერჩეულიყო მსახიობი ან დიქტორი, რომელსაც კადრს მიღმა მკაფიოდ უნდა წარმოეთქვა მცდარი და სწორი ალტერნატივები, პირადად ჩემთვის არჩევანის საკითხი არც დამდგარა: ეს პირი უნდა ყოფილიყო მხოლოდ *გიორგი გეგეჭკორი,* რომლის ხმა და კითხვის მისეული კულტურა, გარდა სულიერი კომფორტისა, რენომესაც შეუქმნიდა გადაცემას და მისი სავიზიტო ბარათის როლს შეასრულებდა. ასეც მოხდა.

მახსოვს, იმ ხანებში ჩემთან შეხუმრებულმა ერთი-ორმა ნაცნობმა მკითხა: გოგი გეგეჭკორის გულოიანმა („საბრალდებო დასკვნის” კოლორიტული პერსონაჟი, ქართველ პატიმრებს რომ ქართულს უსწორებს) ხომ არ გადაგაწყვეტინა ამ გადაცემაში მისი ჩართვაო. არჩევანის მოტივი, ცხადია, ეს არ ყოფილა, თუმცა მიმაჩნია, რომ ამგვარი დამთხვევები ფაქტებს მხოლოდ ახალისებს, დაშავებით კი არაფერს აშავებს...

დღეს დიდი მადლიერებით ვიხსენებ იმ დღეს, როცა ბ-ნმა გიორგიმ სრულიად უყოყმანოდ მიიღო ჩემი „მუქთი” შემოთავაზება (იმხანად ეს გადაცემა არ ფინანსდებოდა), რამაც ერთხელ კიდევ დამარწმუნა იმ სიტყვების სიმართლეში, რომ გიორგი გეგეჭკორისათვის დიდი და პატარა საქმე (მსგავსად როლებისა) არ არსებობდა: ყველაფერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, უდიდესი პასუხისმგებლობით აკეთებდა. და თუ ამ საუბრებმა, რომელთაც აგვირგვინებდა ბ-ნი გოგის დახვეწილი, ინტელიგენტური ინტონაციით წარმოთქმული სიტყვები (**შეცდომაა... სწორია...**), სულ მოკლე ხანში პოპულარობა მოიპოვა, ეს გიორგი გეგეჭკორის „ბრალი” თუ „წყალობაა”.

* * *

ბატონ გიორგისთან კიდევ ერთი, გაცილებით ხანმოკლე – ერთდღიანი „თანამშრომლობა” მაკავშირებს, თუმცა ეს დღე თავისი მნიშვნელობით ჩემს თვალში მარადიული ღირებულებისაა. საქმე ეხება 1980-იანი წლების ამბებს, როცა ენათმეცნიერების ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი „ვშეფობდით” სამხრეთ საქართველოს ქართულ სკოლებს. ერთ-ერთ ღონისძიებად დავსახეთ ახალციხეში ქართული სიტყვის საღამოს მოწყობა, რაც მე უნდა მეთავა.

იმ ხანებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ჩემო კალამო” (კომპოზიცია **აკ. ბაქრაძისა,** დადგმა **თ. ჩხეიძისა**). ყველაზე შესაფერისად მაშინ ამ სპექტაკლის წაღება მივიჩნიე. თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ადვილად შევძლებდი ჩანაფიქრის განხორციელებას, მაგრამ ბედი ხომ უნდა მეცადა! უარის მოლოდინმა რატომღაც უფრო გამათამამა და ხელჩაქნეულის პარადოქსული სილაღით ვთხოვე თეატრის დირექტორს, ბ-ნ *აკაკი ბაქრაძეს* ამ სპექტაკლში დაკავებულ მსახიობთა წაყვანის ნებართვა.

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად დირექტორიცა და მსახიობებიც დიდი ხალისით გამოეხმაურნენ ამ თხოვნას. მე თავი მომქონდა: ხუმრობა საქმე იყო?! მოვახერხე მთელი „ვარსკვლავედის” (ხომლის) წაყვანა: *გიორგი გეგეჭკორი, ზინა კვერენჩხილაძე, გურამ საღარაძე, გიორგი ხარაბაძე*. აქვე იყვნენ სულ ახალგაზრდა *აკაკი ხიდაშელი* და *გიორგი თურქია.* მიმყავდა მეგობარ პოეტთა სამეულიც: *ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიტაიშვილი*, ჩვენთან იყო პროზაიკოსი *ავთანდილ ჩხიკვიშვილიც* და გვახლდა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის გოგონათა კვარტეტიც.

საღამოს, ახალციხის გარდა, ესწრებოდა ასპინძის, ადიგენისა და ახალქალაქის რაიონების ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი.

პირველმა განყოფილებამ რიგიანად ჩაიარა და შვებით ამოვისუნთქეთ. მეორე განყოფილების ბედი აღარ გვაღელვებდა: იგი ხომ მთლიანად რუსთაველის თეატრს ეთმობოდა, ე.ი. წარმატებაც განაღდებული იყო.

მაგრამ წარმატებაც არის და წარმატებაც: სულ სხვა ტაში იყო, სხვა გარინდება – ეგზომ სანატრელი ნებისმიერი დონის მსახიობისათვის! ჩვენ კი ორმაგ მაყურებლებად ვიქეცით: დარბაზი ჩვენთვის მეორე სცენად ქცეულიყო, სადაც არანაკლებ საინტერესო ამბები ხდებოდა...

არ ვიცი, რას გრძნობდნენ მაშინ ჩვენი მსახიობები, მაგრამ მათი ხელოვნება სულ ახლებურად აელვარდა – აი, ისე, უცხო და იდუმალი კონტაქტი რომ ბადებს. ილიას გრძნეული სიტყვები ახალი აზრით იმოსებოდა, მისი მედგარი ხმა სამცხის ძველ მიწაზე ახალ ექოს გამოსცემდა. გიორგი გეგეჭკორი და ზინა კვერენჩხილაძე ზენიტში იყვნენ: მათი გაფაქიზებული სმენა უმოკლეს ტალღებზე იჭერდა მათ მიერვე გაღვიძებულ განწყობილებებს და უნიკალურ შინაგან დიალოგში ჩასართავად იწვევდა მსმენელს. რა ზუსტად გამოხატავს მსგავს მოვლენებს ქართული ხატოვანი თქმა ***გულის პასუხი.***

სხვისა არ ვიცი, მე კი ამ სპექტაკლის, მისი მაგიური ზემოქმედების ხილვამ ჩამომიყალიბა მტკიცე ასოციაცია შუა საუკუნეების მისიონერულ მოღვაწეობასთან. ამიტომ გიორგი გეგეჭკორის პიროვნებისადმი ჩემი განსაკუთრებული მოწიწების გრძნობა ამ მოგონებითაც არის ნასაზრდოები.

უზომოდ მადლიერი ვარ ბედისა, რომ წილად მარგუნა ბატონ გიორგი გეგეჭკორთან თუნდაც ხანმოკლე თანამშრომლობის სიამოვნება.

**შუქია აფრიდონიძე.**

აქტუალური ინტერვიუ

# რამაზ ხუროძე: „ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან“

## უმაღლესი განათლების რეფორმა დროის მოთხოვნაა

**მიწა, კაპიტალი, შრომა და სამეწარმეო უნარი (ანუ ორგანიზაცია) – წარმოების პროცესის აუცილებელი ფაქტორების ამ ჩამონათვალიდან დღეს საქართველოს ყველაზე დიდ პრობლემას საბაზრო სისტემის მოთხოვნათა შესაბამისი სამეწარმეო პროცესების ორგანიზაცია წარმოადგენს.**

**კომუნისტური პერიოდის ეგრეთ წოდებულ „წითელი დირექტორების“ მეთოდებით მუშაობა დღეს, უბრალოდ, შეუძლებელია. შეუძლებელია წარმოების მართვისა და ორგანიზაციის თანამედროვე მიღწევების გამოყენების გარეშე რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი, როგორც ცალკეული საწარმოს, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი განათლების სფეროში რეფორმების გატარებას. მკითხველისათვის საინტერესო იქნება ის გამოცდილება, რომელიც დღეისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაგროვდა. სწორედ ამიტომ ვთხოვეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ რამაზ ხუროძეს პასუხი გაეცა ჩვენს კითხვებზე:**

**– ბატონო რამაზ, ჩვენი თაობა, არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, იმ კარდინალური რევოლუციური ცვლილებების მოწმეა, რაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების არა მარტო უმაღლეს სკოლას, პრაქტიკულად ყველა სფეროს შეეხო. როგორ აისახა ეს პროცესები განათლების სფეროში?**

– ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან, რომელთა მომზადებასა და უწყვეტ განვითარებაში გადამწყვეტი სიტყვა განათლების სისტემას ეკუთვნის. შეუძლებელია ისეთი ქვეყნის წარმოდგენა, რომელსაც იმაზე მეტი კაპიტალი, ვიდრე განათლებული, თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი ადამიანი ჰყავდეს, მისი კომპეტენცია კი, ის საფუძველია, რაზეც ახალი სამყარო დგას, ამდენად, სრულიად ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რასაც დღეს ნებისმიერი, მაღალგანვითარებული სახელმწიფო განათლების სფეროს მოდერნიზებისა და უწყვეტი განვითარებისათვის მყარი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი გარანტიების შექმნის მიმართ იჩენს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა უმაღლეს განათლებას ენიჭება, რაც საყოველთაო აღიარებით, მნიშვნელოვანწილად ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სახეს, მის ადგილსა და როლს თანამედროვე მსოფლიოში განსაზღვრავს.

საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე საბაზრო სისტემის შესაბამისი ეკონომიკა ისეთ ურთიერთობებს გულისხმობს, სადაც ინფორმაცია და ცოდნა დომინირებს. ამდენად, ყოველგვარი წარმატების საფუძველი განათლების სისტემაში დევს. სწორედ ამიტომ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმა არა მხოლოდ იმას უნდა ითვალისწინებდეს, რომ ჩვენ საბაზრო სისტემას ვაშენებთ, არამედ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებსაც, რაც თავისთავად მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ჩართვასაც გულისხმობს. სწორედ ამ კუთხით უნდა დავინახოთ რეფორმების გატარების აუცილებლობა.

**– რაში მდგომარეობს დღევანდელ ეტაპზე უმაღლესი განათლების მიზანი?**

– დღევანდელობა პიროვნებისაგან ახალ ძალასა და თვისობრივად ახალ უნარს მოითხოვს – ადამიანმა არა მხოლოდ უნდა შეცვალოს სამყარო, არამედ თავადაც შეიცვალოს. განათლების ახალი პარადიგმა ეფუძნება ტრიადას: სამყაროს მთლიანი სურათიდან – მთლიან ცოდნამდე და მისგან მთლიან პიროვნებამდე. თანამედროვე ტექნიკური უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი მისია, სწორედ მისი შესრულებაა.

**– მაშ, გვიამბეთ, კონკრეტულად რა ხდება ამ მიმართებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში...**

– ვიხსენებთ რა განათლების მრავალსაფეხურიანი სისტემის – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა – დაფუძნების პირველი წლებიდან გავლილ პერიოდს, შეგვიძლია იმის კონსტატაცია, რომ ჩვენ წინაშე თავიდანვე დაისახა სასწავლო პროცესების მართვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ჩამოყალიბების პროცესებისადმი პრინციპულად ახალ მიდგომათა განხორციელების ამოცანები.

თავდაპირველად სასწავლო გეგმების სტრუქტურა გამოიკვეთა, რაც დღეისათვის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური, ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო, ზოგადპროფესიული და სპეციალური დისციპლინების ბლოკებით არის წარმოდგენილი. ამის შესაბამისად დამუშავდა თითოეული მიმართულებით სასწავლო პროგრამები. სასწავლო გეგმებში სავალდებულო, არჩევითი და ფაკულტატური დისციპლინების ბლოკები იქნა წარმოდგენილი, მკაცრად განისაზღვრა ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლების ხანგრძლივობა, სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ნორმები.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არჩევითი (ელექტიური) სასწავლო დისციპლინის ცნება დამკვიდრდა. სასწავლო სტანდარტების ყველა ბლოკშია გათვალისწინებული ასეთი ელექტიური დისციპლინები, განსაკუთრებით – საბაკალავრო მომზადების დონეზე.

უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხური – მაგისტრატურა ფუნდამენტური საბაკალავრო მომზადების გაღრმავებას უზრუნველყოფს, რის შედეგადაც თვისობრივად ახალი, უფრო მაღალი დონის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბება ხდება.

**– რამდენადაც ვიცი, თქვენთან ცოდნის შეფასების სისტემაც სხვა უმაღლესი სასწავლებლებისაგან თვისობრივად განსხვავებულია...**

– უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა სასწავლო პროცესის ორგანიზაციის საკრედიტო სისტემის დანერგვაა; ეს სისტემა საერთაშორისო დონეზე აპრობირებული და აღიარებულიცაა. საკრედიტო სისტემით სასწავლო პროცესის ორგანიზაცია საუნივერსიტეტო სწავლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების საერთაშორისო აღიარების (ნოსტრიფიცირების) ერთ-ერთი უმთავრესი პირობა გახლავთ. საკრედიტო კრედიტი სისტემის საფუძველია, რაც შეფასების ისეთი პარამეტრია, რომლითაც სტუდენტთა მიერ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ამა თუ იმ საგნის ასათვისებლად საჭირო დროის ხანგრძლივობაა განსაზღვრული. ამდენად, საგნის შესასწავლად რაც უფრო მეტი დროა სასწავლო გეგმით გამოყოფილი, მით უფრო მაღალი კრედიტი აქვს მას მინიჭებული. ამდენად, კრედიტის საშუალებით რაოდენობრივად ფასდება მოცემული დისციპლინის შესასწავლად სტუდენტის მიერ დროში გაწეული ძალისხმევა. ბრიტანეთის უნივერსიტეტებში მიღებული სტანდარტებით ბაკალავრიატის ნებისმიერი სპეციალობისათვის ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი საგნებისადმი მინიჭებული კრედიტების ჯამი 120 კრედიტს შეადგენს. საგანზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის მიუხედავად შეფასება ყოველ საგანში 100-ქულიანი სისტემა ხდება. სტუდენტმა თითოეულ საგანში სულ ცოტა 40 ქულა მაინც უნდა დააგროვოს.

სასწავლო წლის ბოლოს საშუალო მაჩვენებელი საგნებისადმი მინიჭებული კრედიტების გათვალისწინებით გამოითვლება. ეს სისტემა კი საშუალებას იძლევა შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეშვეობით სრული წარმოდგენა ვიქონიოთ სტუდენტის წარმატებებსა, თუ არსებულ პრობლემებზეც ცალკეული ლისციპლინების მიხედვით.

**– საბაზრო სისტემა მენეჯერთა კადრების მომზადების გარეშე წარმოუდგენელია, რა ხდება ამ მხრივ თქვენთან?**

– ამ მხრივ პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ 1994 წელს გადაიდგა, მაშინ, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის დახმარებით სახელმწიფო მოხელეთა მომზადების ქართულ-ამერიკული ინსტიტუტი მაგისტრატურის დონეზე დაფუძნდა. აღნიშნული ინსტიტუტის კურსდამთავრებულები დღეს ნაყოფიერად მოღვაწეობენ სახელმწიფო სამსახურში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და წარმომადგენლობებში.

გერმანიის მთავრობასთან ერთად საერთაშორისო გერმანულენოვანი ფაკულტეტი დავაფუძნეთ, რომელიც ბიზნესის სამართლის სპეციალისტებს ამზადებს. გარდა ამისა, ამერიკის ჯორჯიის შტატის (ატლანტა) უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დავაფუძნეთ საგანმანათლებლო კონსორციუმი – კავკასიის ბიზნეს-სკოლა, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს, ამ სკოლაში უკვე რამდენიმე წელიწადია წარმატებით ხორციელდება ბიზნესის მართვის ბაკალავრებისა და მაგისტრების მომზადება.

სულ ახლახან საფრანგეთის მთავრობის ხელშეწყობით ჩვენთან საფუძველი ჩაეყარა ფრანგულენოვან ინსტიტუტს, სადაც კადრების მომზადება ინფორმატიკისა და ეკონომიკის სპეციალობებში ხორციელდება. ეჭვგარეშეა, რომ საინჟინრო სპეციალობების სტუდენტების მაღალი პროფესიული დონის მისაღწევად აუცილებელია ტექნიკური და ეკონომიკური ცოდნის სინთეზი, სწორედ ასეთი ცოდნის მატარებელ სპეციალისტებს ძალუძთ აღადგინონ ქვეყნის მრეწველობა, რომლის გარეშეც საქართველოს პერსპექტივა არა აქვს.

**– რა ხდება ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაციის მიზნით?**

– ცნობილი ამერიკული კომპანია „შევრონის“ დახმარებით შევძელით მძლავრი კომპიუტერული ცენტრის შექმნა, რომელიც პრაქტიკულად ბოლო თაობის ტექნიკით არის აღჭურვილი. ეს საშუალებას მოგვცემს, დავნერგოთ დისტანციური სწავლების ფორმა, რისთვისაც „ევრაზიის“ ფონდმა დაფინანსება უკვე გამოყო. ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, რათა ჩვენმა სტუდენტებმა ინტერნეტის საშუალებით მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების ლექციები მოისმინონ.

**– და ბოლო შეკითხვა, ბატონო რამაზ, რას ველით რეფორმებისაგან?**

– მისი შედეგი ის იქნება, რომ ზემოთ ჩამოთვლილ გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულენოვან ფაკულტეტებზე ისეთი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულები გვეყოლება, რომელთათვისაც არ იქნება პრობლემა იმუშაონ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე ევროპის ნებისმიერი ქვეყნის კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში ძალზედ მაღალ ანაზღაურებად თანამდებობაზე, რისი არაერთი მაგალითი უკვე გვაქვს.

ესაუბრა
**თამაზ აბუზარდია.**

უზენაეს სასამართლოში

# ვითომ შეგნებულად ჭიანურდება?

**უზენაესი** სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მიხეილ გოგიშვილის, როზა ნადირიანისა და ლალი გოჩელაშვილის შემადგენლობით განიხილა ერთი კვირის წინათ მხარეთა გამოუცხადებლობის გამო გადადებული საქმე, რომელიც სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტ აკაკი გოგიჩაიშვილისა და მსჯავრდებულ ირაკლი კერესელიძის საკასაციო საჩივარს ეხებოდა.

საოლქო სასამართლოს მიერ შარშან, 3 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა კულტურის ექსმინისტრის ვალერი ასათიანის სარჩელი მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის თაობაზე, რომლის ძალითაც ზემოხსენებულ პირებს დაეკისრათ მათ მიერ გავრცელებული მისი პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა და ამავე დროს, მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების სახით ვალერი ასათიანის სასარგებლოდ 50 ათასი ლარის გადახდა.

პროცესი ამჯერად კასატორების გამოუცხადებლობის გამო 24 აპრილისათვის გადაიდო. პალატის გადაწყვეტილებით იგი იმ დღეს ტელევიზიის საშუალებით პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

მათ ამ გადაწყვეტილებას ვალერი ასათიანის დამცველები დათო ჯანდიერი და შალვა შავგულიძე არ ეწინააღმდეგებიან და ამას რომელიმე მხარის პიროვნული ღირსების შელახვად არ მიიჩნევენ, მაგრამ მისი გადადება, რომელიც 2001 წლის ზაფხულიდან დღემდე გრძელდება და მის დამთავრებას აქამდე საშველი არა და არ დაადგა გაჭიანურების შეგნებულ მცდელობად მიაჩნიათ...

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

### ვმო-ში გასაწევრებლად

**საქართველო მზად არის მხარი დაუჭიროს რუსეთის გაწევრებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მიმდინარე წლის ბოლოს მექსიკაში დაგეგმილ შეხვედრაზე, ამასთან თბილისის პოზიციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს რიგმა პრინციპულმა საკითხებმა, განაცხადა პარასკევს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ამირან კავაძემ.**

**მან აღნიშნა, რომ ამ საკითხების ირგვლივ ქართულ-რუსული კონსულტაციები გრძელდება.**

**კერძოდ, მისი თქმით, საუბარია საქართველო-რუსეთის საზღვრის ოსურ მონაკვეთზე გამშვები პუნქტის „ქვემო ზარამაგის“ უკანონო გახსნაზე, რაც, ყველაფერთან ერთად, დიდი რაოდენობით კონტრაბანდის ნაკადს უწყობს ხელს.**

### ზრდიან პროდუქციის მოცულობას

**სააქციო საზოგადოება „აზოტში“ თვის დასაწყისიდან წარმოებული პროდუქციის მოცულობამ დამკვეთის ნედლეულის ჩათვლით ფულად გამოსახულებაში 1463,3 ათასი ლარი შეადგინა. სულ გამოშვებულია 6391 ტონა ამონიუმის გვარჯილა, 2980 ტონა ამიაკი, 5753 ტონა აზოტმჟავა, 209 ტონა ციანმარილები და 110 ტონა ჟანგბადი.**

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

დედაქალაქი

# ვერაზე ცალმხრივი, წრიული მოძრაობის იდეა თბილისელებს მოსწონთ

28 მარტს ჩვენი გაზეთი წერდა, რომ დედაქალაქის ცენტრში, – კოსტავას ქუჩასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტოტრანსპორტი ისე მოზღვავდა, გავლა შეუძლებელი გახდა. აქ „მარადიული საცობია“ და გარემო სამმაგად ჭუჭყიანდება მავნე გამონაბოლქვისგან.

კოსტავას ქუჩის გამტარუნარიანობის პრობლემა და ვერისუბნის სერიოზული ეკოლოგიური საფრთხე დედაქალაქის შესაბამისი სამსახურების ყურადღების ცენტრში მოექცა. საკითხის განხილვა მოეწყო ჯერ თბილისის არქიტექტურის საქალაქო,



ხოლო შემდეგ, ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის საქალაქო სამსახურებში. არქიტექტორების, ავტოინჟინრების, ცალკეული დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი პროექტი შეესაბამება თბილისის გენერალური გეგმის სატრანსპორტო ნაწილს და ლოკალურად, კოსტავასა და მელიქიშვილის ქუჩების, ასევე, ვარაზისხევის განტვირთვას ითვალისწინებს. უფრო კონკრეტულად: **თავისუფლების მოედნიდან** ვაკისკენ მიმავალი ტრანსპორტი, რუსთაველის პროსპექტისა და მელიქიშვილის ქუჩის ნაცვლად, სანაპიროდან გავა გმირთა მოედანზე, იქიდან კი – ვარაზისხევით, ვაკეში. უშუალოდ, რუსთაველის პროსპექტიდან მომავალი ტრანსპორტი ვაკეში მოხვდება ფილარმონიის, გმირთა მოედნისა და ვარაზისხევის გავლით. **საბურთალოდან** და **ვაგზლიდან** მომავალი ტრანსპორტი, ასევე, ვარაზისხევით გავა მელიქიშვილზე და იქიდან – რუსთაველზე. **კოსტავას ქუჩაზე** კი, საბურთალოდან და ვაგზლის მოედნიდან მომავალი ტრანსპორტი მოხვდება ვარაზისხევის, მელიქიშვილის ქუჩისა და ფილარმონიის შემოვლით.

**მთავარი,** – ვარაზისხევზეც, მელიქიშვილზეც და კოსტავაზეც მოძრაობა ცალმხრივი და, მაშასადამე, სწრაფი იქნება. პრაქტიკულად, ორი წრე კეთდება, ერთგვარი მაკავშირებლის ფუნქციას კი ქვემო ვერის ორი ქუჩა – ლამბაშიძისა და ნიკოლაძის ქუჩები შეასრულებენ.

ეს სქემა, ეს იდეა ბევრ თბილისელს მოსწონს. რედაქციაში მივიღეთ ინჟინერ ა. შარაშიძის, ინდივიდუალური მეწარმის ვ. მოდებაძის, ავტოინჟინერ გ. დეისაძის, მძღოლ გ. ჭელიძის, ეკონომისტ ვ. სტეფანიშვილის, იურისტ დ. მურღულიას წერილები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ სქემას და მიაჩნიათ, რომ თუ ის განხორციელდება, დედაქალაქის ცენტრალური უბანი შვებით ამოისუნთქავს.

– ოღონდაც კოსტავას ქუჩას ეშველოს და რაც გინდათ ის მოიმოქმედეთ! – გვწერენ თბილისელები.

მართლებიც არიან. დღის ნებისმიერ მონაკვეთში კოსტავას ქუჩა გაუვალია და იქ სუნთქვაც აღარ შეიძლება.



თუ ეს სქემა-პროექტი თბილისელთათვის მისაღები აღმოჩნდება (განხილვა გრძელდება) მას ექსპერიმენტის სახით მალე განახორციელებენ. თუ ექსპერიმენტმა გაამართლა, მერე, მსგავს იდეას ტრანსპორტით არანაკლებ დატვირთულ სხვა უბნებზეც განახორციელებენ.

რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს პროექტი მისაღებია. გულწრფელად გეტყვით, წარმოდგენილი სქემის საწინააღმდეგო წინადადება რედაქციაში, ჯერჯერობით, არ შემოსულა.

კიდევ ერთხელ ვთხოვთ ჩვენს მკითხველებს, დააკვირდით აქ წარმოდგენილ სქემას და კონკრეტული მოსაზრებები ოპერატიულად გამოგვიგზავნეთ.

თბილისის გენერალური გეგმის სატრანსპორტო ნაწილის ვერის უბანი შველას ითხოვს. თბილისელთა საერთო ძალისხმევის გარდა, მას ვერავინ უშველის.

**სპარტაკ ძოზულია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# ● ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის საკითხი ღიად რჩება
# ● მსოფლიოში უდიდესი ავიაკომპანია დღეში 5 მილიონ დოლარს კარგავს
# ● როცა ფული უბედურების წყარო ხდება

## მოკლეს სერგეი იუშენკოვი



**მოსკოვში მოკლეს სახელმწიფო სათათბიროს ცნობილი დეპუტატი, ლიბერალური რუსეთის პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი სერგეი იუშენკოვი.**

რამდენიმე რუსმა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მათ შორის პარლამენტის სპიკერმა გენადი სელეზნიოვმაც, განაცხადა, რომ მათი აზრით, ამ მკვლელობას პოლიტიკური მოტივი აქვს.

იუშენკოვი მოკლეს ზურგში სამი გასროლით საკუთარ სახლთან, მოსკოვის ტუშინოს რაიონის თავისუფლების ქუჩაზე. დანაშაულის ადგილზე ნაპოვნია იარაღი და ოთხი ჰილზა.

რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბორის გრიზლოვმა ამ საქმის გამოძიების ხელმძღვანელობა დაავალა თავის პირველ მოადგილეს, გამოძიებას პირადი კონტროლი დაუწესა რუსეთის გენერალურმა პროკურორმა.

მკვლელობის ადგილზე გავიდა მოსკოვის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალი პრონინი. შემთხვევის შესახებ ინფორმირებულია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელმაც უკვე გამოუთქვა სამძიმარი დაღუპულის ოჯახის წევრებს.

ბრძოლის სიმძაფრეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო ორივე გუნდის ერთბაშად 7 (!) წევრი აღმოჩნდა სათადარიგოთა სკამზე. ასეთი მძაფრი დუელის ბედი სტუმართა სასარგებლოდ არჩილ ქლენტმა გადაწყვიტა, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში (ამ დროს „აზოტი“ 12 ქულით აგებდა მატჩს) ზედიზედ მოაგროვა მნიშვნელოვანი ქულები და თამაში დამატებით ხუთწუთეულში გადაიყვანა – 88:88, სადაც რუსთაველთა უპირატესობა საგრძნობი გახდა – 103:94. მათგან ქებას იმსახურებს, აგრეთვე, ჭაბუკი ცენტრი ლევან ტყეშელაშვილი, დამარცხებულთაგან კი აღსანიშნავია ლუკა შანიძის შედეგიანობა (მან 5 სამქულიანი ჩააგდო).

გუშინვე სტუ-მ აკადემია დაჯაბნა – 91:68, ბათუმის „ბასკომ“ კი დედაქალაქის „მაქაბისთან“ გაინავრდა – 104:84.

დღეს ითამაშებენ აკადემია – თსუ (11.00), „დინამო“ – „მაქაბი“ (12.45, ვერის ბაღში) და „აზოტი“ – ქუთაისი (16.00, რუსთავში).

ფრენბურთი

# მეგობლობა რას მიქვიან

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს ფრენბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა (დავით შავანგირაძე, დავით ლიპარტელიანი, სულხან ახვლედიანი, გიორგი ხუროშვილი, სოსო ლობჟანიძე, რომა გავაშელი, ვახტანგ ჩიქოვანი, ვლადიმერ ჩიტაძე, დავით ლაგვილავა, თენგიზ ჯანხოთელი, მთავარი მწვრთნელი აკაკი ჩაჩუა) სომხეთის ნაკრებს (ავაგ ნიკოგოსიანი, ვარდან ბასტრამჯიანი, კარენ ასრამიანი, ანდრანიკ მანუჩარიანი, გრაირ ხანიანი, ტევოს სვატიკიანი, არტურ აირაპეტიანი, მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი ნიკოგოსიანი) უმასპინძლა. ჩვენი ფრენბურთელების უპირატესობა თავიდანვე თვალსაჩინო გახდა. გულშემატკივრების მხარდაჭერით შეგულიანებულმა მასპინძლებმა პირველ პარტიაში იოლად მიაღწიეს წარმატებას – 25:15. მათ არც მეორე ხელის მოგება (25:19) გასჭირვებიათ. მესამე პარტიაში თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ ჩვენებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც – 25:21.

**ლევან ახვლედიანი, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:** ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი ითამაშა შინ და სასიამოვნოა, რომ იგი მშრალი ანგარიშით მოიგო. ორთაბრძოლის საყურებლად შვიდი ათასამდე გულშემატკივარი მოვიდა. დიდი მადლობა მათ აქტიური მხარდაჭერისთვის.

**აკაკი ჩაჩუა:** ასეთ იოლ გამარჯვებას არ ველოდი. ანგარიშით კმაყოფილი ვარ, თუმცა, თამაშში უამრავი ხარვეზი გვქონდა, რომელთა აღმოფხვრა აუცილებლად მოგვიწევს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირამდე. შაბათს სომხეთის გუნდთან მეორე შეხვედრას გავმართავთ და ტაქტიკურ სიახლეებსაც იქ მოვსინჯავთ.

**ვახტანგ ჩიქოვანი:** ჩვენი ნაკრები ახალი ჩამოყალიბებულია და, რაც მთავარია, ახალგაზრდულია, თუმცა ბევრად უფრო ძლიერი და მობილური, ვიდრე ის გუნდი, შარშან ტალინში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ წრეში რომ ითამაშა. მჯერა, რომ მეორე წრის ორთაბრძოლებში, რომელსაც რიგა უმასპინძლებს, მეტოქეებს უფრო მედგარ წინააღმდეგობას გავუწევთ.

**ნიკოლაი ნიკოგოსიანი:** უპირველესად, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ კოლეგებს გულთბილი მასპინძლობისთვის. რაც შეეხება მატჩს, საქართველოს გუნდი აშკარად გვჯობდა. თქვენი არ იყოს, უსახსრობამ ჩვენს ფრენბურთსაც დაასვა აშკარა დაღი. პროფესიონალი მწვრთნელები სხვა სამუშაოზე გადადიან. ბოლო ორი წელიწადია, რაღაცას ვახერხებთ. ასეთი ამხანაგური მატჩები, დარწმუნებული ვარ, ქართული და სომხური ფრენბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციას წაადგება.

**ვაჟა დანელია.**

რაგბი

# დღეს გადამწყვეტი შეხვედრებია

**საფრანგეთში დასასრულს უახლოვდება 19 წლის მორაგბეთა მსოფლიო პირველობა. „ა“ ჯგუფში ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში 16 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ბორჯღალოსნებიც ჩაებნენ. პირველ ეტაპზე მათ უელსელებთან წააგეს 7:24, რითაც მეოთხედფინალში მოხვედრის შანსი დაკარგეს.**

მეორე ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა კანადის გუნდს მოუგო 31:7. ამ წარმატებით ჩვენებს მხოლოდ IX ადგილისთვის ბრძოლის უფლება მიეცათ. მესამე წრეში ისინი შეხვდნენ რუსებს, რომლებმაც, თავის მხრივ, კორეელებს სძლიეს 26:25. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ბორჯღალოსნებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დამარცხდნენ 8:16. ამ ტურში იაპონელებმა იტალიელებს დააყრევინეს ფარ-ხმალი 15:11. დღეს ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები ბორჯღალოსნებს შეხვდებიან IX-X ადგილებისთვის. საგულისხმოა, რომ შარშან იტალიაში ანალოგიურ შეჯიბრებაზე ქართველებმა 15:12 დაამარცხეს მეტოქე. იმედია, ისინი დღესაც გაიმარჯვებენ და გათამაშების ცხრილში შარშანდელთან შედარებით ერთი საფეხურით წაიწევენ. რაც შეეხება ფინალურ შეხვედრას, ოქროს მედლებისთვის ახალი ზელანდიის და სამხრეთ აფრიკის გუნდები ითამაშებენ, რომლებმაც ნახევარფინალში შესაბამისად, არგენტინას (27:24) და საფრანგეთს (20:15) მოუგეს.

სამხრეთამერიკელები და ევროპელები ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებენ. V ადგილისთვის იასპარეზებენ ინგლისი და ირლანდია, მეშვიდესთვის – უელსი და შოტლანდია. XI-XVI ადგილებს გაინაწილებენ: იტალია-რუსეთი, ნამიბია-კორეა, კანადა-რუმინეთი.

**ლეძსო ცინცაძე.**

გახსენება

# მისი სიყვარული ფეხბურთიც იყო

***ჩვენი ხალხის უსაყვარლეს მსახიობთან გიორგი გეგეჭკორთან მრავალი წლის მანძილზე ურთიერთობისას ფეხბურთზეც ბევრი გვისაუბრია, თავად სპორტის ნომერ პირველი სახეობის ბრწყინვალე მცოდნე, რუსთაველის სახელობის თეატრის საფეხბურთო გუნდის სული და გული გახლდათ. როგორც ერთგულ ქომაგს, ემახსოვრებოდა თბილისის „დინამოს“ 1981 წლის დიდი ევროპული წარმატება.***

***ბატონ გიორგის თავად ჰქონდა ნანახი მწვანე მინდვრის დიდოსტატთა ყველა თაობის თამაში. ბევრ გამოჩენილ სპორტსმენთან მეგობრობდა. მრავალი საინტერესო ეპიზოდი გაუხსენებია და მაინც მკითხველს ის ორი მოგონება მინდა შევთავაზო, რომლებიც ტყავის ბურთის შესანიშნავ ოსტატებს ავთანდილ დოდობერიძესა და ვლადიმერ ბარქაიას ეხება.***

## გიორგი გეგეჭკორი ბასას შესახებ

„1943 თუ 1944 წელი იდგა. ქალაქში ხმა გავარდა, „დინამოში“ აფხაზეთიდან განსაცვიფრებელი ნიჭისა და ტალანტის ყმაწვილი აიყვანესო. რუსთაველის თეატრის მსახიობები სტადიონისკენ გავეშურეთ მის სანახავად, თვალებს არ ვუჯერებდით: ულამაზესი შესახედაობის ახალგაზრდამ ულამაზესი ფეხბურთი ითამაშა და თანაც – ბორის პაიჭაძის მხარდამხარ. არ იყო ადვილი დიდი ბორისის გვერდით ყოფნა. ბასამ კი ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი „ფეხბურთის კარუზოს“ გვერდით და ერთ მშვენიერ დღესაც მისგან ჩაიბარა გუნდის კაპიტნობა.

ლუბა ფოჩხუა, მსახიობი, დეიდა იყო ბასასი, ვისთანაც ცხოვრობდა ბინაზე და ვინც უშუალოდ ზრუნავდა მასზე, ვიდრე იგი ცოლს შეირთავდა. ქალბატონი ლუბა ყოველთვის გვაწვდიდა უნიკალურ და ჩვენთვის ღირებულ ცნობებს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა შესახებ. თუკი რამე ვიცოდით და თავს ვიწონებდით კიდეც, მხოლოდ ქალბატონი ლუბას დამსახურება გახლდათ.

იგი ყოველთვის დიდი სიყვარულით გვესაუბრებოდა ბასაზე, მისი ხასიათის თავისებურებებზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე.

მწვანე მინდორზე ბასა ლამაზი და ახოვანი ჩანდა, ისეთი მიმზიდველი და საინტერესო, როგორც გამორჩეული და ყველასათვის საყვარელი მსახიობი – აკადემიური თეატრის სცენაზე. არ შეიძლებოდა მისთვის მზერა მოგეწყვიტა, რადგან მოლოდინი ყოველთვის საოცრებას, განუმეორებლის დანახვას და აღქმას გპირდებოდა.

დინამიური, მეტად მოძრავი ბასა ჯერარნახული სისწრაფითაც ხიბლავდა ყველას, მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ იმ საქმეშიც, რასაც ჰქვია სათამაშო სისტემის შეცვლა, ღოღობერიძე მაგალითი გახლდათ ყველასათვის.

როცა ბასა ლოგინად ჩავარდა, რამდენჯერმე ვინახულე და გავამხნევე ქალბატონი ლუბა. დღესაც მადლიერების გრძნობით ვიხსენებ იმ წლებს, საათებსა და წუთებს, როცა ბრწყინავდა პიროვნება, რომელიც ყველას უყვარდა და მასზე აუგს ვერავის დააცდენდი.

ასეთად დარჩა ჩემს მეხსიერებაში ეს დიდებული ფეხბურთელი“.



## გიორგი გეგეჭკორი სიომას შესახებ

„ბედნიერ კაცად ვთვლი თავს, რომ მეგობრობა მაკავშირებს ისეთ ბრწყინვალე სპორტსმენთან, როგორიცაა ვლადიმერ ბარქაია. წარუშლელია ჩემს მეხსიერებაში ის დიდი სიამოვნება, რომელიც მისი თამაშის ცქერით მიმიღია. განა შეიძლება ლევ იაშინის კარში 35 მეტრის მანძილიდან გატანილი ულამაზესი გოლის დავიწყება?! მინდორზე სიომას ყოფნა სულ სხვა ელფერს აძლევდა მატჩს. იგი არ იყო რიგითი ფეხბურთელი, თამაშის მანერით გამორჩეული, მუდამ სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებდა მაყურებელს. როგორც მსახიობი სცენაზე, ისე გრძნობდა მოედანს. თავის სხეულსაც არტისტულად ფლობდა. რაღაც განსაკუთრებული თვისების მატარებელი ფეხბურთელი, ნამდვილი არისტოკრატი გახლდათ მწვანე მინდორზე. სიომას დიდი ამაგი აქვს ფეხბურთის განვითარების საქმეში, ამიტომ მისი სახელი დიდი ასოებით არის ჩაწერილი ქართული სპორტის ისტორიაში და მისი ღვაწლი თაობებს უნდა გადაეცეს“.





*ასე მაღალპროფესიონალურად, როგორც სჩვეოდა დიდ შემოქმედს, ბატონმა გიორგი გეგეჭკორმა დაახასიათა ორი უდიდესი ფეხბურთელი, ვისი თამაშითაც ყოველთვის აღფრთოვანებული გახლდათ. სამწუხაროდ, ამ ორმოცი დღის წინ ქართული სცენის მშვენება, ვისი ნაცნობი და საყვარელი ხმის გაგონება ყოველთვის ამაღლებულ განწყობილებაზე გაყენებდა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოაკლდა ჩვენს რიგებს.*

*ეს წერილიც მის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.*

**დემიკო ლოლაძე.**

**სურათებზე: გიორგი გეგეჭკორი სიამოვნებით თამაშობდა ფეხბურთს, მეგობრობდა ფეხბურთელებთან, თვით ბორის პაიჭაძესთან.**

ფესტივალის საღამოები

# რისთვის დაიბადა თბილისში თედორე შალიაპინი



**„მე ორჯერ დავიბადე: ერთხელ ყაზანში – სიცოცხლისათვის, მეორედ თბილისში – მუსიკისათვის“. ეს სიტყვები გამოჩენილ რუს მომღერალს თედორე შალიაპინს ეკუთვნის და ცხადია, იგი შემთხვევით არ უთქვამს. მისი შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები ხომ სწორედ თბილისს უკავშირდება. აქ დაიწყო მისი პროფესიული სასცენო მოღვაწეობა და უბადლო კარიერა.**

სახელოვან ბანს წლეულს დაბადებიდან 130 წლისთავი შეუსრულდა და ამ ფაქტის აღნიშვნა რუსეთის კულტურის ცენტრმა „ვივატ, სანკტ-პეტერბურგის“ საფესტივალო პროგრამაში შეიტანა. მანვე საზოგადოებრიობას შესთავაზა საღამო, რომელმაც ახალგაზრდა, 29 წლის პეტერბურგელი მომღერალი პეტრე მიგუნოვი (ბანი) გაგვაცნო. სწორედ ამ კონცერტით გაიხსნა ფესტივალი.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, თავისი ხმის ტემბრით პეტრე მიგუნოვი წააგავს შალიაპინს. იგი სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორიის აღზრდილია და ამავე ქალაქის სახელმწიფო აკადემიური კაპელის წამყვანი სოლისტი. არის აგრეთვე პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების (ტოკიოს, კრაკოვის, ზალცბურგის, ბუსეტოს) ლაურეატი, სოლო შესრულებით გამოდის მრავალ საკონცერტო სცენაზე. 2000 წელს დებიუტი ჰქონდა „კარნეგი ჰოლსა“ და ნიუ-იორკის ფილარმონიის „ლინკოლნ-ცენტრში“.

საგულისხმოა, რომ სულ ახლახან, თბილისში ჩამოსვლის წინ, მომღერალი მიიწვიეს მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტად.

თბილისური საღამოებისთვის (მან ორი სოლო პროგრამა ჩამოიტანა) პეტრე მიგუნოვმა შეარჩია თედორე შალიაპინის საოპერო და კამერული რეპერტუარის საუკეთესო ნიმუშები: გლინკას, დარგომიჟსკის, ვერდის, შუბერტის, ბრამსის, როსინის, რახმანინოვის, რუბინშტეინის, ჩაიკოვსკის, მუსორგსკის შემოქმედებიდან. განსაკუთრებით ფართოდ წარმოაჩინა ამ კომპოზიტორთა კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები.

მსმენელი მოიხიბლა მომღერლის ლამაზი ტემბრის, რბილი, ხავერდოვანი ხმით, მისი ძალდაუტანებელი და ლაღი შესრულების მანერით. მან შთაგონებით შეასრულა გლინკას ცნობილი რომანსი პუშკინის ლექსზე „მე მახსოვს მშვენიერი წამი“, ვოკალური ფანტაზია „ღამის დათვალიერება“, შუბერტის „ორეული“, რუბინშტეინის „ბალადა“, ჩაიკოვსკის „დონ ჟუანის სერენადა“, მუსორგსკის „დავიწყებული“...

ახალგაზრდა ბანმა შეძლებისდაგვარად წარმოაჩინა საოპერო შემოქმედების ნიმუშები, შეასრულა რა სუსანინის გლინკას („ივანე სუსანინი“), ალეკოს (რახმანინოვის „ალეკო“), გრემინის (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ფილიპის (ვერდის „დონ კარლოსი“), მეწისქვილის (დარგომიჟსკის „ალი“), ბაზილიოს (როსინის „სევილიელი დალაქი“) არიები. მომღერლის საუკეთესო ვოკალური მონაცემები იმის იმედს იძლევა, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო დაოსტატდება.

მომღერალს ჩინებული პარტნიორობა გაუწია ქართველმა პიანისტმა, სპეციალური პრიზის „საუკეთესო კონცერტმაისტერის წოდების“ მრავალგზის მფლობელმა თეიმურაზ ელიავამ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

**სურათებზე: თედორე შალიაპინი (ზემოთ); მღერის პეტრე მიგუნოვი, ფორტეპიანოსთან თეიმურაზ ელიავა.**

**ლევან ლომაძის ფოტო.**



მილოცვა

# რაც დავიწყებით არასოდეს დაიბინდება

**რედაქციამ მიიღო საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული კომისიის, აფხაზეთის დეპუტაციის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ ყოლბაიას მილოცვა გამოჩენილი ქართველი ექიმის, მეცნიერისა და პედაგოგის, ქართული კარდიოლოგიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საზოგადო მოღვაწისა და უერთგულესი მამულიშვილის ნოდარ ემხვარის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:**

გამორჩეული პიროვნება ცოტა როდი ჰყავს საქართველოს, მაგრამ განსაკუთრებულია ჩვენთვის, თქვენი აფხაზეთელი თანამემამულეებისათვის, თქვენი საყოველთაო აღიარება, თქვენს მიერ ჩვენი პატარა კუთხის სახელის ასე შორს გატყორცნა, რაც პირდაპირ და ირიბადაც ასოცირდება თქვენი მშობელი ხალხის წარუშლელ ნიჭიერებასა და გონიერებასთან, სიბრძნისა და სიკეთის უნიკალურ უნართან, რომელიც ასე ჭარბად არის განსხეულებული თქვენში.

სიმბოლურია, რომ თქვენ ცხოვრება დაუკავშირეთ სწორედ გულს – სიცოცხლის წყაროს, ურომლისოდ არ არსებობს არა მარტო სიცოცხლე, არამედ ღვთიური სიკეთე, რომლითაც იწვით და იხარჯებით სოფელ შეშელეთში ყმაწვილობიდან დაწყებული დღემდე.

ყველა და თითოეული, ვინც კი თქვენი პაციენტი ყოფილა ოდესმე, ან სხვა ურთიერთობა ჰქონია თქვენთან, იმუხტება გასაოცარი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით, რომელსაც დავიწყების მტვერი არასოდეს დაედება.

თქვენ გულიანი ადამიანი ბრძანდებით. ამიტომ თქვენც აგტკივდათ გული ერთჟამ, რამეთუ თქვენ ქვეყნის ჭირისუფალიც ხართ და აფხაზეთისთვის თავგადადებული პიროვნება, რომლისთვისაც სრულიად მიუღებელია ის, რასაც უგულოები ჩვენს ირგვლივ აკეთებენ და რამაც გოლგოთად გადააქცია თქვენი და ჩვენი უმშვენიერესი აფხაზეთი.

თქვენ აფხაზეთელთა გულებს კურნავთ იმითაც, რომ დღე-ღამეში ერთი საათიც არ გქონიათ აფხაზეთზე ფიქრის გარეშე, აქტიურად ეძებთ გზებს ქართველთა და აფხაზთა ჭეშმარიტად ტრადიციული ურთიერთობის აღსადგენად.

გვჯერა, რომ მალე დადგება ის დროც, როცა თქვენისთანა ღირსეულ მამულიშვილებს, გამოჩენილ გვარიშვილებს კვლავაც მოგიწევთ გაჩანაგებული აფხაზეთის აღორძინება, იქ გულისა და გონების ჰარმონიული თანხმობის მიღწევის საქმეში ლომის წილის შეტანა.

გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, დიდ ხანს სიცოცხლეს, ულევ ოჯახურ ბედნიერებას, ახალ გამარჯვებებს მეცნიერებაში, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ჩვენი დედასამშობლოს, ჩვენი საყვარელი კუთხის აფხაზეთის, თქვენი მშვენიერი ოჯახის საკეთილდღეოდ.

წმინდა სახელი

# ხსოვნა გულისა

**მიმდინარე წლის მაისის დასასრულს საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილის დღეები ჩატარდება, რომლის ინიციატორია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირი.**

ახლახან ამ პროფორგანიზაციის თავმჯდომარის, ქალბატონ ციცო ჯაფარიძის სამუშაო ოთახში შეიკრიბნენ კიდეც ექვთიმე თაყაიშვილის იუბილის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: პროფესორები ნელი ჩაფიძე, გიორგი გოცირიძე, ლიანა ბერიაშვილი, მეცნიერები ქეთევან სიხარულიძე, მიხეილ ზანდუკელი და მერაბ ძნელაძე, პოეტები იოსებ მაჭარაშვილი და ლეილა ბერძენიშვილი, სცენარისტი ვიოლა კოროშინაძე და გამომცემლობა „ვერჯეს“ დირექტორი მამუკა ნეფარიძე. სხდომას ესწრებოდა ცნობილი კინორეჟისორი გუგული მგელაძე, რომელიც გადაიღებს საიუბილეო ღონისძიებათა ამსახველ მხატვრულ-დოკუმენტურ კინოფილმს. აქვე განიხილეს სცენარი, რომლის ბაზაზე შექმნილმა კინოსურათმა თითოეულ მაყურებელს უნდა გააცნოს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების ურთულესი გზა, მისი ტრაგიკული ყოფა, მოწამებრივი ცხოვრება და აღსასრული.

საიუბილეო ღონისძიებები ჩატარდება დიდი ქართველი მეჭურჭლეთუხუცესისა და წმინდანის ექვთიმეს სახელთან დაკავშირებულ ადგილებში ოზურგეთში, ბათუმში, ქუთაისში, გომარეთსა და თბილისში.

**დავით ჭოჭუა.**

მოგზაურის კვერთხი

# გერმანელი ტურისტები ბათუმში

**ბათუმის ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა ტურისტულმა ხომალდმა „პალომა-1“, რომელიც იტალიური კომპანიის საკუთრებაა და კრუიზულ რეისებს სენტ-ვინსენტესა და გრენადინის სახელმწიფო დროშით (სამხრეთ ამერიკა) ასრულებს.**

კრუიზი 12 აპრილს დაიწყო სტამბოლის პორტიდან. ბათუმი მესამე ქალაქია, სადაც ხომალდმა ღუზა ჩაუშვა. ტურისტები კრუიზის დროს გაეცნობიან თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის საპორტო ქალაქებს, ხოლო რეისი ადრიატიკის ზღვისპირეთში მდებარე ულამაზეს ქალაქ ვენეციაში დასრულდება.

გემის ბორტზე 240 ტურისტია. მათი უმრავლესობა გერმანიიდანაა. ჩვენი ქალაქი გერმანელ მოგზაურებს გაზაფხულის მზიანი ამინდით და ჩვეული სტუმართმოყვრული სითბოთი შეეგება. ისინი დატკბნენ ბუნების მშვენიერებით, შთამბეჭდავი ხედებით ქალაქში გასეირნებისა და ღირსშესანიშნაობათა გაცნობის შემდეგ, მოინახულეს ბოტანიკური ბაღი.

– ბათუმი შესანიშნავი ქალაქია – ამბობს ტურისტი ქალბატონი მარტა შნაიდერი – ის უთუოდ იმსახურებს გულისყურით გაცნობას. ამიტომ, მეგობრებთან ერთად გადავწყვიტეთ სექტემბერ-ოქტომბერში ისევ მოვინახულოთ აქაურობა.

– „პალომა-1“ 12800 ტონა წყალწყვის ბორანის ტიპის გემია – გვიამბობს ხომალდის კაპიტანი, ეროვნებით ხორვატი კრასნოდარ მიშკოვიჩი – კრუიზში 420 მგზავრის წაყვანა შეუძლია. გემს 150-წევრიანი ეკიპაჟი ემსახურება. ხომალდი მსოფლიოს გარშემო უკვე 20 წელიწადია დაცურავს. წელიწადნახევრის წინათ მოვაწყვეთ კრუიზი სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის გარშემო. შემდეგ ვიმყოფებოდით ევროპის ჩრდილოეთით, ჩრდილოეთის ზღვაში, საიდანაც კურსი სამხრეთისაკენ ავიღეთ.

**შაქრო რომანაძე.**

ყოველი მხრიდან

## პარლამენტს პილოტები ამარცხებენ

**ხვალ იტალიის ქალაქ იმოლაში უნდა გაიმართოს ავტორბოლაში „ფორმულა-1“ 54-ე მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი.**

სანამ თავიანთი მძლავრი და სწრაფი ბოლიდების საჭეებს მიუსხდებოდნენ, რბოლაში მონაწილე პილოტების ნაკრებმა ძალები ფეხბურთის მინდორზეც გამოსცადა – სან-მარინოში შეხვდა ამ ქვეყნის პარლამენტის ნაკრებს. ხუთი ათასამდე გულშემატკივრის თვალწინ პილოტებმა გაანადგურეს პარლამენტარები – 6:2.

ორი ბურთი გაიტანა მსოფლიო ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა, ყველაზე ლამაზი გოლისათვის კი პრიზი მიიღო ჯანკარლო ფიზიკელამ.

## კრივი და სექსი

**ერთის შეხედვით, ამ ორ სიტყვას თითქოს რაიმე კავშირი არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მამაკაცებისათვის განკუთვნილ ჟურნალ „პლეიბოის“ გარეკანზე გამოსახულმა ლამაზმანმა სახელი სწორედ კრივით გაითქვა.**




დიახ, ის ცნობილი გერმანელი სპორტსმენი რეგინა ჰალმიხია. მან ხომ 32 ბრძოლიდან მხოლოდ ერთი წააგო, 10-ში კი გამარჯვება ნოკაუტით მოიპოვა. თანაც რინგზე გამოსვლამდე 25 წლის ქალიშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა კიკბოქსინგში.

ბუნებრივია, ასე პოპულარული სპორტსმენისადმი ყურადღება მამაკაცთა ჟურნალის მესვეურებშიც აღიძრა და ჟურნალში „გამოჭენების“ მაცდურ წინადადებაზეც დაითანხმეს. „ბოლოს და ბოლოს ნამდვილ ქალად ვიგრძენი თავი“, – განაცხადა რეგინამ.

შეიძლება ითქვას, ძალზე კარგი სურათები გამოვიდა, თანაც ერთ-ერთ სურათზე ჰალმიხს ტანსაცმლიდან აცვია მხოლოდ... კრივის ხელთათმანები.

## ვერ მორიგდნენ...

**უჩვეულო ძარცვის საქმე გამოიკვლიეს ინგლისელმა გამომძიებლებმა – ლონდონის „არსენალის“ გულშემატკივარმა შეძლო იმ რამდენიმე ბურთის მოპარვა, მისი კერპები რომ თამაშობდნენ.** თითოეული ბურთის გაყიდვას ის ათას გირვანქა სტერლინგად აპირებდა, მაგრამ ლონდონელთა ერთ ქომაგს ის ძალზე ეძვირა და ბურთების გამტაცებელი „ჩაუშვა“.

აღსანიშნავია, რომ „ბოროტმოქმედის“ შეპყრობისას ჩამორთმეული არც ერთი ბურთი არ დაბრუნებია მათ კანონიერ მფლობელს – ისინი პოლიციის უბანში „აორთქლდა“.

**სპორტის რედაქცია**

# განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „კაბადონი“ მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:

თხევადი გაზის გასამართი პუნქტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 3 ივნისამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში თბილისი, კოსტავას № 68 ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში თბილისი, თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ: 25 02 19.

საჯარო განხილვა შედგება 2003 წლის 3 ივნისს 12 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**

მიმდინარეობს შპს „G-Com“-ის (რეგისტრირებული ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 22 აგვისტოს, რეგისტრაციის № 5ა/4-544) ლიკვიდაცია. ვიწვევთ კრედიტორებს პრეტენზიების განცხადებისათვის.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქუჩა № 11.

ხორციელდება ინდ მეწარმე მიხეილ ბაჯელიძე „რევერსი 2“ ლიკვიდაცია. შესაძლო კრედიტორებს შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ტელეფონებზე: 33 18 84; 10 95 03.

# სააქციო საზოგადოება „ბორჯომის“ აქციონერთა საყურადღებოდ

## შეტყობინება

სააქციო საზოგადოება „ბორჯომის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2003 წლის 11 მაისს დღის 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, ყვიბისი, ბორჯომის № 2 ჩამომსხმელი ქარხანა, ადმინისტრაციული შენობა.

სააქციო საზოგადოება „ბორჯომის“ მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2003 წლის 7 აპრილი.

**დღის წესრიგი:**

1. 2002 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ბორჯომის“ დირექტორატში (მის: ქ. თბილისი, ლ. ქიაჩელის ქ. № 2, ტელ: 98-84-92), ხოლო განმარტებების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნას დაყენებული დირექტორატის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

**კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:**

ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2003 წლის 15 მარტის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

**სს „ბორჯომის“ სამეთვალყურეო საბჭო.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ბუნების ამაგდარნი — ცნობილი ქართველი მეყვავილე — დეკორატორი მიხეილ მამულაშვილი და მისი უმცროსი მეგობარი, დამსახურებული აგრონომი ნიკოლოზ (კოკი) ჯალაღონია.

მცხეთა, 1963 წელი.

მოგვაწოდა გიული ჯალაღონიამ.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოსაქვეყნებლად დატოვებული სურათების წასაღებად.*

## დიმილის დოზა



სიდორ პუპკინმა მთავრობას შესთავაზა ახალი, ექსპერტების მიერ დადასტურებული მეთოდი რიგითი მშრომელის მიერ მილიონი დოლარის გამომუშავების შესახებ.

ამისთვის, ამტკიცებს, პუპკინი, საკმარისია, რომ რიგითმა მშრომელმა 4 ათასი წლის განმავლობაში იმუშაოს კარისკაცად და არაფერი შეჭამოს.

* * *

ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ იგი დალალა პრეზიდენტობამ. ინაუგურაცია შაბათს გაიმართება.

* * *

ცუდი გენები? — ზიუგანოვი და სელეზნიოვი.

* * *

პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომელმაც მსოფლიო შეაშფოთა: ჩრდილოეთ კორეაში შექმნეს სუპერ რაკეტა, რომლის ტრაექტორია იმდენად დაბალია, რომ ვერცერთი ქვეყნის საჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ვერაფერს აკლებს, ხოლო მიზანში აბსოლუტურად ზუსტად არტყამს, რაგან დასაბომბ ობიექტამდე ველოსიპედით მიაქვთ.

## კონცერტი

# სიყვარულმა გაათბო



ახლახან თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა თანამედროვე ესტრადის თითქმის ყველა „ვარსკვლავი“.

კონცერტზე მსმენელმა ცნობილი სიმღერების გარდა ორი პრემიერაც მოისმინა, ორივე დუეტის სახით. **გუზი მეტრეველი და მეკო, ჯგუფი „საუნდი“ და სალომე გასვიანი.** ორივე დუეტს ოვაციები გაუმართა მსმენელმა. განსაკუთრებული სიყვარული გამოხატეს თინეიჯერებმა მეკო შაქარაშვილის მიმართ, რომელიც სულ 14 წლისაა და ძალზე პერსპექტიულ მომღერლად გვესახება.

საღამო, რომელსაც უძღვებოდა აჩი ფურცელაძე, უდავოდ მშვენიერი გამოვიდა.

**მერაბ სიხარულიძე.**

**სურათზე: მღერის მეკო.**

## დღე — საფიცარი

# ფარნავაზის ნატერფალზე დედაენა ზეიმობდა

ხალხმრავლობა იყო მცხეთაში — დედაენის ძეგლთან, თითქოს ბუნებაც ზეიმობდა საერო დღესასწაულს, ჯვრის თავზე წამომდგარი მზე უხვად აფრქევდა სხივებს მრავალსაუკუნოვან ქალაქს. მიხეილ მამულაშვილის ბაღთან თავმოყრილი საზეიმოდ გამოწყობილი ახალგაზრდები ქრიამულობდნენ. მცხეთის სკოლების მოსწავლეები მოუთმენლად ელოდნენ ზეიმის დაწყებას, აქ იყვნენ დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები, გაზეთების წარმომადგენლები, რომელთაც მასპინძლობდნენ მცხეთის რაიონის გამგებელი ანდრო კალანდაძე, საკრებულოს თავმჯდომარე პაატა მირზიაშვილი.

მცხეთა დასაბამიდან იყო ქართული მწიგნობრობის საფუძველთა საფუძველი, აქ იწერებოდა ეპიგრაფიული წიგნები, ბილინგვები, ეტრატები და გუჯრები. მცხეთელი იყო პეტრე იბერი (411-491 წ. წ.), გამოჩენილი ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქვეყნად სიკეთის მქადაგებელი: „მსოფლიოში განსაცვიფრებლად სახელგანთქმული“, რომელზეც ზაქარია ქართველი ამბობდა: „იგი იყო მშვენება და დიდება საქართველოსი და მცველი მთელი ქვეყნისა“.



ზეიმს ხსნის მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე უშანგი ხარშილაძე. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში არმაზ შამანაური შეკრებილებს ულოცავს ეროვნულ დღესასწაულს: „დღეს ყველგან ზეიმია, მაგრამ მცხეთის მკვიდრებს განსაკუთრებით გვეზეიმება და გვეამაყება, რადგან მცხეთელი იყო პირველი ქართველი მეფე ფარნავაზი: „კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“. მან ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, როგორც მეისტორიე გადმოგვცემს: „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა და ამან შეჰქმნა მწიგნობრობა ქართული“. ნიშანდობლივია, რომ თბილისის შემდეგ მცხეთაში აუგეს დედაენას ძეგლი.

შემდეგ სიტყვას ამბობს მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ხატიძე, ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია აღნიშნავს იმ ძმობის აუცილებლობას, რომელიც ნიშანსვეტად უნდა გასდევდეს მთელ საქართველოს: „აქ ამ მცხეთის წმინდა მიწას ჯერაც ატყვია ფარნავაზისა და ქუჯის ნატერფალები, მათ ანდერძად დაგვიტოვეს თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორი თავმდაბლობით უნდა მოვეპყრათ ერთმანეთს, როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართლის ისტორიიდან, თუ როგორ მიმართა ქუჯი ეგრისელს: „მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი“.

„აღსდექ და მოდი ჩემთან, შევერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო. შევერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთა ქართველთა, რათა ერთიანი ძალით დავამარცხოთ დამპყრობი აზონი“.

„თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ ფარნავაზ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი: და შემდგომაც. თუ ღვთისშეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი“. იყო დასტური ქუჯისა...



აი, როგორი პასუხისმგებლობით და არა პირადული ინტერესებით წყვეტდნენ საერო საქმეს. დღეს ჩვენ ფაზისის აკადემიის ინიციატივით ჩამოვიტანეთ შესანიშნავი მხატვრის ბატონ გიორგი გეგეჭკორის მიერ შესრულებული ფარნავაზისა და ქუჯის ფერწერული პორტრეტი, როგორც სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა და სიმტკიცისა. დღეის შემდეგ ეს სურათები დაცავანებული იქნება მცხეთის მუზეუმში, ნიშნად ძმობისა და მარადიული ერთობა-სიყვარულისა.

სიტყვით გამოსულებმა: გიორგი გეგეჭკორმა, ალექსანდრე დიდებაშვილმა, დოდო ბრაჭულმა, იზა ტოპრაკაშვილმა სიყვარულით ილაპარაკეს ქართული ენის ღირსების თაობაზე.

და მცხეთაში ზეიმობდა და ზეობდა ქართული სიტყვა.

**ვალერიან მამუკელაშვილი.**

## გამოფენა

# ბავშვური უშუალობით დანახული სამყარო...

სიმონ ხანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთი საგამოფენო დარბაზი, ამჯერად ნორჩი შემოქმედის, 12 წლის სალომე გოგიბერიძის ნამუშევრებს დაეთმო. ეს მისი პირველი პერსონალური ექსპოზიციაა. თავდაპირველად სალომე სამტრედიის სკოლა-ლიცეუმში სწავლობდა, მეორე კლასში იყო, როცა ხელოვნების მასწავლებელმა მის ნახატში არაჩვეულებრივი ფერთა შერწყმა დაინახა... სალომემ პარალელურად სწავლა სამტრედიის სამხატვრო სკოლაში განაგრძო, შემდეგ კი თბილისში, კულტურის სამინისტროს ხელოვნების კოლეჯში. სწორედ აქედან დაიწყო სალომეს წარმატებული მონაწილეობა სხვადასხვა გამოფენებში.

სალომე გოგიბერიძის პეიზაჟები, ნატურმორტები გამოირჩევა სიღრმით და ამასთანავე, ბავშვური გულწრფელობით. მის ნახატებში უხვად არის მსუბუქი, ნათელი მხიარული ფერები, რომელთა ერთობლიობა ნამუშევარს სიხალისესა და უშუალობას მატებს. იგი აცოცხლებს და გვაცნობს ბავშვურ სამყაროს, გამოხატავს განწყობილებას... ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: „სერენადა“, „ქალაქი ღამით“, „დედაშვილობა“, „შემოდგომის ნობათი“, „ვარდები“, „ზამთარი ტყეში“, „ქუჩა“, „ღამის თბილისი“, „მზესუმზირები“ და სხვა. ამ ნამუშევრებში გამოხატული გაბედული ფერადოვანი გადასვლები ზედმიწევნით გადმოსცემენ იმ ბავშვურ და გულწრფელ ემოციას, (თუმცა, შესრულების მანერა საოცარი დახვეწილობით გამოირჩევა), რომელიც გოგონას მასზე მუშაობისას დაუფლებია. დიდია ნორჩი მხატვრის ფანტაზია, რაზეც სიუჟეტების მრავალფეროვნება, ფერთა გამის შეხამება, კომპოზიციის აგება მეტყველებს.

— სალომე ფერწერაში ნიჭიერი და გამორჩეული მოსწავლეა, რასაც მისი ნამუშევრები და მიღებული ჯილდოებიც მოწმობს. იგი საუკეთესოა, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო საგნებშიც, აღნიშნავს ხელოვნების კოლეჯის გენერალური დირექტორი ციცო ჯაფარიძე.

პირველმა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც ნორჩ მხატვარს სიხარულთან ერთად დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს, აშკარად დაგვანახა ავტორის უშუალობა, ადამიანის სიყვარული, ბავშვური ინტერესი თანადროულობისადმი და უპირველესად, სახვითი ოსტატობის ნიჭი, რაც პატარა სალომეს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებზე მიუთითებს.

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: სალომე გოგიბერიძე და მისი ნამუშევრები.**







## გამოძიება

# გაფრენილი წლები

40 წლის წინათ ამოქმედდა დებულება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სისტემაში საგამოძიებო აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ, რითაც საფუძველი ჩაეყარა წინასწარი გამოძიების სისტემას. ახლახან გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც საგამოძიებო სამმართველოს საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

სხდომას ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი კობა ნარჩემაშვილი. ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი რომან შენგელია, გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი და სხვები.

მინისტრმა მოკლედ მიმოიხილა სამინისტროს საგამოძიებო აპარატის მუშაობა. განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა გამომძიებელთა დაუღალავ შრომას სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების საქმეში.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გენერალ-მაიორმა ირაკლი განუგრავამ. მან გამომძიებელთა იმ პირველი თაობის შესახებ ილაპარაკა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ დარგის ჩამოყალიბებას და განვითარებას. დაასახელა პირველი თაობის საგამოძიებო საქმიანობის პიონერები, რომლებიც შემდეგში თვითონ იყვნენ საგამოძიებო აპარატის სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები, ზოგიერთი მათგანი დღესაც უშურველად გადასცემს ახალგაზრდა თაობას თავის მდიდარ გამოცდილებას.

რა თქმა უნდა, თავიანთი სიტყვა თქვეს სტუმრებმაც.

შეხვედრის დასასრულს ზურაბ ხაჟალიამ იმ ვეტერანთა სია წაიკითხა, რომლებიც მინისტრის ბრძანებით საიუბილეო მედლით დაჯილდოვდნენ. ვეტერანი გამომძიებლები დიდ მადლობას უხდიან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ამ ჩინებული საიუბილეო შეხვედრის გამართვისათვის.

**ოთარ ბერიშვილი.**

## ტელევიზია

**შაბათი 19 აპრილი**

**08.00, 15.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"შანპაის სიურპრიზი"** **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.40** დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები **12.00** "ვიცი **12.30** "მეტრო" **13.05** კვალი **13.35** ერთი მსახიობის თეატრი. მონო-სპექტაკლი "მონატრება" **14.25** "საქართველო, დრო, მოვლენები" **15.15** სამოქალაქო საზოგადოების სათავეებთან **15.35** საწინდარი **16.00** ფეხბურთი საქ. თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი. შესვენებისას დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** ენერგია **19.35** გინდ დაიჯერეთ გინდ არა **20.00** ცაიტნოტი **21.10** დოკ. ფილმი "სანდრა და მისიანები" მე-2ს. **22.00** "ფორტუნა" **22.40** პროფათეული **23.15** მხ. ფილმი **"იდიოტების ალბომი"** **00.55** მოამბე **01.05** ღამის ჯაზი

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** დრაკონთა მომთვინიერებლები **10.00** ჯადოქარი **10.45** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **14.50** ტელეკაზინო **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **17.30** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 00.30** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.15** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.50** ტელეკაზინო **20.05** სერიალი **"ჩინელი პოლიციელი"** **21.00 კურიერი** P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **22.30 ფსიქო**. მხ.ფ. **"სიჩუმე"** **00.50** მხ.ფ. **"კოკაინი"** მთ. რ-ში: ჯონი დეპი, პენელოპა კრუსი. **03.00** ღამის ჯაზი

**11.00, 00.20, 01.20, 02.15** ახალი ამბების დაიჯესტი **11.05, 03.05** იმედის მელოდიები **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** მულტფილმი "ფანტომეტა" - მე-**11** ს. **12.30** ახალგაზრდული სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **13.30** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **14.30** X-კლუზივი **15.15** რეტროსკოპი **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.00** სერიალი **"იუდას ქალი"** - მე-**8** ს. **19.30** სერიალი **"ნირო ვულფი"** **20.55** თოქ შოუ "არჩევანი თქვენ" **22.45** საღამოს ღიმილი (გასართობი გადაცემა) **23.00, 00.20** კლიპ-ლოტო **23.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. **"იუვენტუსი" – "რომა"**. **1**-ლი ტაიმი **00.30** ფეხბურთი მე-**2** ტაიმი (პირდაპირი). **01.20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. (ჩანაწერი) **1-2 ტაიმი.**



მეუღლე თამარ (ბაბულია) სოლომონია, შვილები მერაბი, მანანა, და ნელი, რძალი ნინო მახარაშვილი, სიძე დოდო ყურაშვილი, შვილიშვილები ელენე, თამარ ხურცილავები, გიორგი ყურაშვილი, დისშვილები ლიანა, რაულ თოფურიები, ტატო, ლეილა, მზია, ნოდარ გელენავები, ძმისშვილები ია, კახა ხურცილავები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სოკრატ ილიას ძე ხურცილავა

პანაშვიდი 19, 21 IV, 6 სთ. დაკრძალვა 22 IV, 3 სთ. ვაჟა-ფშაველას პროსპექტი № 50, II სადარბაზო.

---

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ თბილისის მთავრობის პრემიერს გია შერაძეს გარდაეცვალა მამა

ვლადიმერ დავითის ძე შერაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის და ქ. თბილისის საოლქო საგადასახადო ინსპექციების შრომითი კოლექტივები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გია შერაძის მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ქალაქ თბილისის მთავრობის პრემიერს გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ბატონ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ დავითის ძე შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალაქ თბილისის მთავრობის პრემიერის გია შერაძის მამა

ვლადიმერ შერაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და პირადად მისი პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი თანაუგრძნობს ქალაქ თბილისის პრემიერს ბატონ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახური სამძიმარს უცხადებს ქ. თბილისის პრემიერს ბატონ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

სს „თბილქალაქმშენი“ თანაუგრძნობს ბატონ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

რუსუდან უფლისაშვილი, შოთა დოლონაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებენ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

თემურ ჯანაშია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ მახარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ქალაქ თბილისის მთავრობის პრემიერს გია შერაძეს მამის

ვლადიმერ დავითის ძე შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

მალხაზ სალაყაია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონ გიორგი შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

ალექსანდრე კურცხალია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

ქ. თბილისის მერიის საქალაქო მეურნეობის საქალაქო სამსახური სამძიმარს უცხადებს ბატონ გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია იზიარებს გია შერაძის მწუხარებას მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახური სამძიმარს უცხადებს გია შერაძეს მამის

ვლადიმერ შერაძის

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო სამძიმარს უცხადებს ეროვნული სამედიცინო ცენტრის პერინატალური სამსახურის ხელმძღვანელს, მთავარ გინეკოლოგს რეზო სულუხიას

დედის

გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ თორდია სამძიმარს უცხადებს რეზო და სოსო სულუხიებს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე თათუშა, შვილები მზია, ზურაბი, სიძე გელა, რძალი ანი, შვილიშვილები თამუნა, ილია, და ნათელა, ძმა გივი, დისშვილები ჯემალ და დოდო გახოკიძეები, ძმისშვილები თამაზ და გია ბალავაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტიტე გრიგოლის ძე ბალავაძე

პანაშვიდი 20, 21 IV, 5 სთ. დაკრძალვა 22 IV, 3 სთ. წყალსადენის ქ. №49.

---

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული პედიატრიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, თსსუ პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრის პროფესორი

ლელი ქერქაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ს/ს ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მთავარი მედდის მზია გვარჯალაძე-ქორქოლიანის ძმის

ჯონდო გვარჯალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სამედიცინო ინსტიტუტ „თბილისის“ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პედიატრი და მეცნიერი, პროფესორი

ლელი ქერქაძე.

---

პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული დემოკრატების“ თბილისის საქალაქო და ნაძალადევის რაიონული ორგანიზაციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პარტიის აქტიური წევრი

ნანა ლევანოზაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## სააქციო საზოგადოება სამკერვალო კომპანია „იმერის“ აქციონერთა საყურადღებოდ

2003 წლის 20 მაისს 17 საათზე ს/ს სამკერვალო კომპანია „იმერის“ კლუბში მისამართი ქ. ქუთაისი ასათიანის ქ. № 119 მოწვეულია აქციონერთა კრება

დღის წესრიგი

1. ს/ს სამკერვალო კომპანია „იმერის“ 2002 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები და 2003 წლის პროგრამების განხილვა-დამტკიცება.
2. ს/ს სამკერვალო კომპანია „იმერის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიში 2002 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. აუდიტორის არჩევის შესახებ.
4. სხვადასხვა.

შენიშვნა: აქციონერებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

კრებამდე 10 დღით ადრე წარმოადგინეთ წინადადებანი.

მისამართი: ქ. ქუთაისი ასათიანის ქ. № 119.

ტელეფონი: 7-44-96.

დირექტორატი.

## სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

2003 წლის 16 მაისს 12 00 საათზე ქ. თბილისში, გ. ჭანტურიას ქ. № 14-ში მოწვეულია სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.
2. სხვადასხვა.

აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 11.00 საათიდან

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ბანკის ფილიალებში ან სათავო ოფისში ტელეფონით 93-56-38.

სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ზელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.